ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 24 ოქტომბერი 2001 №203 (1476) | ფასი 50 თეთრი


CHAMPIONS LEAGUE

# მაინც რომელი ხართ, E?


მანჩესტერი — ოლიმპიაკოსი 3:0. ბერძნები რაიან გიგზის მეორე გოლმა გატეხა

ჩემპიონთა ლიგის გუშინდელმა მატჩებმა მეორე ჯგუფურ ეტაპზე კიდევ ხუთი გუნდი გაიყვანა: უკვე გასულ „სპარტას", „რეალს" და „ლევერკუზენს", „იუვენტუსი", „მანჩესტერ იუნაიტედი", „დეპორტივო", „ბარსელონა" და „ბაიერნი" შეუერთდნენ. ლიგისთვის ჩვეული დაძაბულობა არც ამ ტურს აკლდა. „სპარტაკმა" ბოლო წუთზე დაკარგა გამარჯვება; „ბარსელონამ" ჯერ თვალსა და ხელს შუა გაფლანგა ორბურთიანი უპირატესობა, მერე კი ასევე უცაბედად მაინც მოიგო; „მანჩესტერმა", მთელი 80 წუთი ვერაფერს რომ გახდა, ბოლო ათ წუთში სამი ბურთი შეაგდო. საბოლოოდ ყველაფერი ისე დალაგდა, გუშინდელი ჯგუფებიდან ერთსღა შერჩა ინტრიგა: ვინ გავა E ჯგუფიდან – „სელტიკი" თუ „პორტუ", ეგებ „რუსენბორგიც"?

იხილეთ მეორე გვერდი

# 32 კლოდ სორელმა დაითვალა. დიდ სტუმრებზე გათვალა

11 ნოემბერს საქართველოს მორაგბეთა ნაკრები თბილისში, ეროვნულ სტადიონზე საფრანგეთის „ა" ნაკრებს უმასპინძლებს. ერთი კვირის შემდეგ კი, 18 ნოემბერს ასევე ეროვნულზე სამხრეთ აფრიკის „ა" ნაკრებს დაუხვდება.

ამ მნიშვნელოვანი და პრინციპული მატჩებისთვის ბორჯღალოსანთა ფრანგმა თავკაცმა კლოდ სორელმა ის 32 მორაგბე დაასახელა, რომელთაგანაც საბოლოო 22-კაციან საბრძოლო რაზმს ჩამოაყალიბებს. სორელის მატჩებისწინა სიაში ოცდარვა ლეგიონერია, ოთხი მორაგბე კი ეროვნულ ჩემპიონატში თამაშობს.

აქედანვე ცნობილია, რომ ტრავმის გამო ორივე შეხვედრას გამოტოვებს ბორჯღალოსანთა ძირითადი შემადგენლობის ნახევარმცველი ირაკლი აბუსერიძე. სათუო იყო გარემარბ ვასილ აბაშიძის თამაშიც. მას ახლახან საფრანგეთში მუხლის ოპერაცია გაუკეთეს, თუმცა ისე უნაკლოდ, რომ იგი ორივე მატჩს სრულ მზადყოფნაში შეხვდება.

კლოდ სორელმა სანაკრებო შეკრებაზე პირველად უხმო ოთარ ელოშვილს, ირაკლი მაჩხანელს, ირაკლი გიორგაძეს, გიორგი ჯორჯაძეს და ოთარ ბარკალაიას. ხუთივე მორაგბე ამპლუით უკანახაზელია.

საფრანგეთში მოთამაშე ლეგიონერები თბილისში 8 ნოემბერს ჩამოვლენ, მათ საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე მორაგბეები შეუერთდებიან და სორელის მეთვალყურეობით მატჩებისთვის მზადებას შეუდგებიან.

ბაჩო სვანიძე

## ნაკრების კანდიდატები

მორკინალები: ლევან ცაბაძე (კასტრი), მევლუდ მთიულიშვილი (აჟანი), აქვსენტი გიორგაძე (ტულონი), გოდერძი შველიძე (ბეზიე), ტარიელ რატიანიძე (ბეზიე), სოსო ნიკოლაენკო (რუმიი), ლევან ჯაველიძე (ნანტი), მამუკა მაგრაქველიძე (ოში), ვანო ნადირაძე (ბურგ ან ბრესი), ვიქტორ დიდებულიძე (ნიმი), ზურაბ მჭედლიშვილი (ალბი), დავით ბოლღაშვილი (მაზამე), გია ლაბაძე (ტულონი), გრეგუარ იაშვილი (მეტრო-რასინგი), ილია ზედგინიძე (ტულონი), ბესიკ უდესიანი (კრეზო).

უკანა ხაზი: გუჯა იოვაძე (აგდი), შოთა მოდებაძე (ნიმი), პალიკო ჯიმშელაძე (გრენობლი), თედო ზიბზიბაძე (ნარბონი), კახა ალანია (ლოკომოტივი), ვასილ კაცაძე (გრენობლი), ვასილ აბაშიძე (ბრესანი), მალხაზ ურჯუკაშვილი (მაზამე), ბადრი ხეხელაშვილი (ანგულემი), ბესიკ ხამაშურიძე (ტულონი), გიორგი ბუგიანიშვილი (ლოკომოტივი), ირაკლი გიორგაძე (ტულონი), ოთარ ელოშვილი (ლონსლესონიე), გიორგი ჯორჯაძე (ლურდი), ირაკლი მაჩხანელი (უნივერსიტეტი), ოთარ ბარკალაია (ორბელი-ლელო).


კლოდ სორელი ბორჯღალოსნებს 8 ნოემბერს შეკრებს

# ჩემპიონთა ლიგა. მეხუთე ტური. გუშინ



REUTERS მიუნხენიდან

ბაიერნი — ფეიენოორდი. მიუნხენელთა მეკარე ოლივერ კანმა ერთი გოლი მაინც გაუშვა



REUTERS ტურინიდან

იუვენტუსი — პორტუ. ტურინელმა ალესანდრო დელ პიერომ თავისი საქმე ხელმოტეხილმაც გააკეთა



REUTERS ლიონიდან

ლიონი — ბარსელონა. რივალდომ (ბურთით) ლიონური გოლიც მიითვალა



REUTERS სტამბოლიდან

ფენერბაჰჩე — ლევერკუზენი. თურქთა ხორვატმა მილან რაპაიჩმა (№8) კარსტენ რამელო ჰიდაობის ილეთითლა შეაჩერა

## E ჯგუფი

### იუვენტუსი 3:1 პორტუ

0:1 კლეიტონი (13), 1:1 დელ პიერო (32), 2:1 მონტერო (47), 3:1 ტრეზეგე (73)

იუვენტუსი: ბუფონი, პარამატი, მონტერო, ტუდორი, დელ პიერო (მარესკა 76), ნედვედი, ტრეზეგე, ძამბროტა (ძენონი 72), ტაკინარდი, ტურამი, დავიდსი (ბირინდელი 88)

მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

პორტუ: ოვჩინიკოვი, კარვალიუ, კოშტინია, დეკო სოუზა (რადებელი 67), ანდრადე, სოდერსტრიომი, იბარა (ჟუნინიორი 76), კაპუშე, კლეიტონი (ელდერი 61), მარიო სილვა, პენა

მწვრთნელი: ოქტავიო მაჩადუ

გაფრთხილება: დელ პიერო, დავიდსი, კოშტინია, ელდერი

მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)

### რუსენბორგი 2:0 სელტიკი

1:0, 2:0 ბრატბაკი (19, 36)

რუსენბორგი: არასონი, ოლსენი, ჰოფტუნი, ბასმა, სტრანდი, ბერგი (ვინსნესი 74), სკამელსრუდი, საარინენი, ჯორჯე (იონსენი 83), ბრატბაკი, რუშფელდტი

მწვრთნელი: ნილს არნე ეგენი

სელტიკი: დუგლასი, ვალგაერენი, ბალდე, ლარსონი, ტომპსონი (მარტისონი 79), სატონი, ლამბერტი, აგათე, ლენონი, პეტროვი (მორავჩიკი 68), მიალბი

მწვრთნელი: მარტინ ონილი

გაფრთხილება: ბასმა, საარინენი, პეტროვი, ლენონი

მსაჯი: ხუან მარინი (ესპანეთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 5 | 3 | 2 | 0 | 8:4 | 11 |
| პორტუ | 5 | 2 | 1 | 2 | 6:5 | 7 |
| სელტიკი | 5 | 2 | 0 | 3 | 4:8 | 6 |
| რუსენბორგი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:5 | 4 |

## F ჯგუფი

### ფენერბაჰჩე 1:2 ლევერკუზენი

0:1 ზნაიდერი (21), 0:2 კირსტენი (34), 1:2 ოქთაი (40)

ფენერბაჰჩე: რუშთუ, მერიჩი, დოგანი, უილარი, რევივო, ანდერსონი (რაპაიჩი 77), ლაზეტიჩი (მაქანი 65), ზიმშექი (ოგიუნი 52), ჯონსონი, ოქთაი, გიუნეში

მწვრთნელი: მუსტაფა დენიზლი

ლევერკუზენი: ბუტი, ნოვოტნი, ჟივკოვიჩი, ზე რობერტო, კირსტენი (ბრდარიჩი 68), ბასტურქი (ვრანიეში 90), ბალაკი, შნაიდერი, სებესკენი, ნოივილი (ოჯიგვე 83), რამელო

მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი

გაფრთხილება: რევივო, ზიმშექი, გიუნეში, რაპაიჩი, შნაიდერი

მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

### ლიონი 2:3 ბარსელონა

0:1 კლუივერტი (8), 0:2 რივალდო (18), 1:2 ლუინდულა (66), 2:2 კარიერი (88), 2:3 ხერარდი (90)

ლიონი: კუპე, ედმილსონი (კასაპა 26), ვიოლო, კარიერი, ჟუნინიო, ბრეჩე (ლეგლი 78), გოვუ, ფოე, ლუინდულა, შანელე (დელმოტი 63), მიულერი

მწვრთნელი: ჟაკ სანტინი

ბარსელონა: ბონანო, ფ. დე ბური, ხავი, კოკუ, კლუივერტი, რივალდო (ჯოვანი 87), კრისტანვალი, გაბრი, ლუის ენრიკე (ჯერარდი 73), კოკო (რაიციგერი 58), პუიოლი

მწვრთნელი: კარლოს რექსაჩი

გაფრთხილება: კასაპა, ვიოლო, ლუის ენრიკე, კოკუ, ხერარდი

მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 5 | 4 | 0 | 1 | 11:5 | 12 |
| ლევერკუზენი | 5 | 4 | 0 | 1 | 8:5 | 12 |
| ლიონი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:7 | 6 |
| ფენერბაჰჩე | 5 | 0 | 0 | 5 | 3:11 | 0 |

## G ჯგუფი

### მანჩესტერი 3:0 ოლიმპიაკოსი

1:0 სოლსკიაერი (79), 2:0 გიგზი (88), 3:0 ვან ნისტელროი (90)

მანჩესტერი: ბარტეზი, გ. ნევილი, ირვინი, ვერონი, ბლანი, ბექჰემი, ბათი (სოლსკიაერი 73), ვან ნისტელროი, გიგზი, სქოულზი, ბრაუნი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

ოლიმპიაკოსი: ელეფთეროპულოსი, პაცაცოღლუ, ამანატიდისი, იანაკოპულოსი (რობერტო 83), კარამზუ, ჯორჯევიჩი, მავროგენიდისი (პურსანიდისი 46), კუაკუ, კონტისი, ალექსანდრისი (ალვეში 63), ანატოლაკისი

მწვრთნელი: პანაიოტის ლემონისი

გაფრთხილება: ჯორჯევიჩი, ანატოლაკისი, პაცაცოღლუ, კონტისი

მსაჯი: მელო პერეირა (პორტუგალია)

### დეპორტივო 1:1 ლილი

1:0 დიეგო ტრისტანი (14პ), 1:1 ბრუნო შეირუ (20პ)

დეპორტივო: ნუნიუ, ტრისტანი (პანდიანი 77), ამავისკა, ემერსონი (სერხიო 61), კაპდევილა, სანჩესი, გამა, ვალერონი (ჯალმინია 70), ელდერი, დუშერი, ვიქტორი

მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

ლილი: უიმბე, ფაჰმი, ბახირი (ბეკა 90), პიშო, სტერიოვსკი (კოლო 88), ეკერი, დელპიერი, ლანდრინი, ნდიაე (ბენუა შეირუ 81), დამიკო, ბრუნო შეირუ

მწვრთნელი: ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი

გაფრთხილება: ემერსონი, ფაჰმი, პიშო, ლანდრინი

მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 5 | 3 | 0 | 2 | 9:5 | 9 |
| დეპორტივო | 5 | 2 | 3 | 0 | 9:7 | 9 |
| ლილი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:6 | 5 |
| ოლიმპიაკოსი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:11 | 4 |

## H ჯგუფი

### ბაიერნი 3:1 ფეიენოორდი

1:0 კუფური (12), 1:1 ელმანდერი (25), 2:1, 3:1 სანტა კრუზი (30, 90)

ბაიერნი: კანი, სანიოლი, ლიზარაზუ (ტარნატი 46), კუფური, რ. კოვაჩი, პაულო სერჯიო (ციკლერი 69), პიზარო, ფინკი (ტიამი 83), სალიჰამიჯიჩი, ჰარგრივსი, სანტა კრუზი

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

ფეიენოორდი: ზოტებიერი, რზასა, ვან გასტელი (შმოლარეკი 80), ბოსველტი, ვან ვონდერენი, ონო, ელმანდერი, პაუვე, ვან გობელი (გიანი 46), ემერტონი, კოლენი

მწვრთნელი: ბერტ ვან მარვეიკი

მსაჯი: კორტეს ბატისტა (პორტუგალია)

### სპარტაკი 2:2 სპარტა

1:0 რობსონი (4), 1:1 პოლუბი (29), 2:1 ბესჩასტნიხი (34), 2:2 ბაბნიკი (90)

სპარტაკი: ლევიცკი, კოვტუნი, კებე, ანანკო, ბარანოვი, ბულატოვი, ტიტოვი, ციხმეისტრუკი (მიტრესკი 46), ბესჩასტნიხი, პარფიონოვი, რობსონი

მწვრთნელი: ოლეგ რომანცევი

სპარტა: ცეხი, გრიგერა, ლაბანტი, ჰაშეკი, ნოვოტნი, კინცლი, მიხალიკი (ბაბნიკი 73), სიონკო (სლონჩიკი 83), ჰუბშმანი, პოლუბი (ზელენკა 46), იაროშიკი

მწვრთნელი: იაროსლავ ჰრებიკი

გაფრთხილება: ანანკო

მსაჯი: გრემ ბარბერი (ინგლისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 5 | 3 | 2 | 0 | 10:2 | 11 |
| ბაიერნი | 5 | 3 | 2 | 0 | 13:5 | 11 |
| სპარტაკი | 5 | 0 | 2 | 3 | 6:14 | 2 |
| ფეიენოორდი | 5 | 0 | 2 | 3 | 5:13 | 2 |

## ინგლისი

### I დივიზიონი. XV ტური

ბირმინგემი 2:1 ჯილინგემი
ბარნსლი 1:0 კრისტალ პალასი
სიტი 4:0 გრიმსბი
მილუოლი 3:1 ბრედფორდი
ნორვიჩი 0:0 პორტსმუთი
პრესტონი 3:0 შეფილდი
უოლსოლი 3:2 როტერჰემი
უოტფორდი 1:2 ნოტინგემი

### II დივიზიონი. XV ტური

რექსემი 1:1 ბლეკპული
ბრენტფორდი 5:1 ბერი
ბრისტოლი 1:0 ბორნმუთი
ჩესტერფილდი 1:2 სტოკი
კოლჩესტერი 2:2 უიკომბი
ნორთჰემპტონი 0:3 ჰადერსფილდი
ნოტსი 2:2 ბრაიტონი
ოლდჰემი 0:1 რედინგი
პიტერბორო 4:1 ქუინზ პარკი
ტრანმერი 1:2 უიგანი

### III დივიზიონი. XV ტური

სკანთორპი 2:0 საუთენდი
ექსეტერი 1:0 როვერსი
ჰალიფაქსი 2:4 ლუტონი
ჰალი 1:1 ლეიტონი
კიდერმინსტერი 4:1 იორკი
მაკლსფილდი 0:1 ჰარტლპული
მენსფილდი 2:0 ტორკი
ოქსფორდი 1:1 კარლაილი
პლიმუთი 2:0 ლინკოლნი
როჩდეილი 2:2 ჩელტენემი
შრუსბერი 0:2 რაშდენი
სუონსი 2:0 დარლინგტონი

## შვედეთი

XXV ტური

გიოტებორგი 2:1 ჰალმსტადი

## ჰოლანდია

თასი. II ეტაპი

ვალვაიკი 1:0 ემენი
აიაქსი (I) 2:0 გრააფშაპი

იყიდება
ერთოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა
ვაზისუბნის IV მ/რ. II კვ. მე-5 სართული
ტელ: 75 99 49



# ჩემპიონთა ლიგა V ტურ. დღის

## A ჯგუფი

### რეალი — რომა

### ანდერლეხტი — ლოკომოტივი



ზინედინ ზიდანი ლიგას უბრუნდება

**მადრიდის** „რეალი" უკვე გავიდა ლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზე, შესაბამისად, სატურნირო თვალსაზრისით მოგებას და წაგებას მისთვის ერთი ფასი აქვს. უფრო ჭკვიანურიც იქნება, ლიგა დროებით დაივიწყოს და პრიმერადივიზიონს მიხედოს, სადაც სამარცხვინო მეთხუთმეტე ადგილზეა.

მაგრამ არც იმის დავიწყება იქნება, რომ წინა სეზონში, ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპიდან ვადამდე გასულ „რეალს" არაფერში სჭირდებოდა „ლაციოს" ძლევა, მაგრამ მაინც მოუგო. აქედან გამომდინარე, თქმა იმისა, რომ „რეალი" „რომას" წინააღმდეგობას არ გაუწევს, მართებული არ უნდა იყოს, ეგებ, პირიქითაც მოხდეს, რაკი შინაურ ჩემპიონატში შერცხვენილმა გუნდმა ერთგული ქომაგის გული უნდა მოიგოს. ისიც სათქმელია, რომ ამ ჩემპიონთა ლიგაში პირველად გამოჩნდება ზინედინ ზიდანი, რომელმაც ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა.

საერთოდ კი ვისენტე დელ ბოსკე უკვე ნაცადი შემადგენლობის გაყვანას აპირებს, რომელშიც ერთადერთი ახალი სახელი — ფრანსისკო პავონი იქნება.

ქულები უფრო „რომას" სჭირდება, თუმცა არც იმდენად, რომ ამ მატჩში მარცხი მისთვის საბედისწერო გამოდგეს.

რომაელებს დღეს ვინჩენცო მონტელა არ ეყოლებათ, რომელმაც მუხლის ტრავმა დროულად ვერ მოიშუშა. იგი კვირას, „ლეჩესთან" მატჩისას დაშავდა. სამაგიეროდ, მომჯობინებულა მარკო დელვეკიო და, ალბათ, შეტევაში გაბრიელ ბატისტუტას შეუწყვილდება.

„ანდერლეხტისა" და „ლოკომოტივის" მდგომარეობა კი ისეთია, რომ მესამე ადგილისთვის ანუ უეფას თასზე გადაბარგებისთვის უნდა იბრძოლონ. ამ საქმეში ბელგიელებს ვერაფრით დაეხმარებიან ოლივიე დოლი, ემანუელ პირარდი და ვალტერ ბასეჟიო, რომლებიც დაშავებულნი არიან. ჟილ დე ბილდე ტრავმის მოშუშების მერე ვარჯიშს შესდგომია, მაგრამ მისი სასტარტო შემადგენლობაში ყოფნა გადაწყვეტილი სულაც არ არის. ტრავმა მოუშუშებია ნენად იეხტროვიჩსაც და, სავარაუდოდ, მატჩის დაწყებას სათადარიგოთა სკამზე შეხვდება.

რუსებს კი დისკვალიფიცირებული ჰყავთ მილან ობრადოვიჩი. იური სიომინმა წინა უქმეებზე სათასო შეხვედრაში ხუთი ფეხბურთელი დაასვენა, რათა ამ მატჩში საუკეთესო ფორმაში ყოფილიყვნენ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 4 | 4 | 0 | 0 | 12:2 | 12 |
| რომა | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| ანდერლეხტი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:7 | 2 |
| ლოკომოტივი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:8 | 1 |

## B ჯგუფი

### ბოავიშტა — ლივერპული

### დორტმუნდი— დინამო

**ჯგუფის** ლიდერი „ლივერპული" პორტუში „ბოავიშტას" სტუმრობს და, შესაძლოა, ვერ ათამაშოს სტივენ ჯერარდი, ვინც „ლესტერთან" პრემიერლიგის მატჩში მიიღო ტრავმა.

მას შემდეგ, რაც ჟერარ ულიეს გულის შეტევა მოუვიდა და საავადმყოფოშია, „წითლებმა" ორჯერ ითამაშეს, ლიგის მატჩში კიევის „დინამოს" 2:1, ხოლო ინგლისის ჩემპიონატში „ლესტერს" 4:1 მოუგეს. „ამ გამარჯვებებს არ გავუკვირვებივარ — ამბობს ულიე — მართალია გუნდს დროებით ჩამოვშორდი, მაგრამ ბიჭები ჩინებულად თამაშობენ და ლიგის შემდგომ ეტაპზე აუცილებლად უნდა გავიდნენ".

„ბოავიშტა" კარგი გუნდია — თქვა ულიეს თანაშემწე ფილ ტომპსონმა — ბევრისთვის მათი წლევანდელი გამოსვლა ეგებ, მოულოდნელიც იყოს, მაგრამ არა ჩვენთვის. პორტუგალიელებს ყურადღებით ვაკვირდებით და ვიცით, რა შეუძლიათ".

ტომპსონი აღიარებს, რომ ბოავიშტელთა დამარცხება ერთობ რთული საქმეა. აკი სექტემბერში საკუთარ „ენფილდზე" ვერ მოუგეს. ის თამაში 1:1 დამთავრდა.

„დორტმუნდი" „ვესტფალენშტადიონზე" კიევის „დინამოს" მასპინძლობს და თუ გამსვლელი ადგილის დაკავება სურს აუცილებლად უნდა გაიმარჯვოს. „ფრაიბურგთან" უსახური შეხვედრის მერე მათიას ზამერს ფეხბურთელებთან მკაცრად უსაუბრია. კლუბის პრეზიდენტმა გერდ ნიბაუმმა კი განაცხადა, რომ უკრაინელების წინააღმდეგ ქომაგები სულ სხვა „ბორუსიას" იხილავს.

მასპინძლებს არ ეყოლებათ დისკვალიფიცირებული ბრაზილიელი შემტევი მარსიო ამოროზო, სამაგიეროდ, კვირის მატჩისგან განსხვავებით დაუბრუნდებათ ჩეხი გამთამაშებელი ტომაშ როსიცკი და ვეტერანი კაპიტანი შტეფან როიტერი.

სტუმარი კიეველები კი კაპიტან გოლოვკოს ვერ ათამაშებენ, ვისაც უეფამ ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია დაუდგინა. წინა კვირას „ლივერპულთან" მატჩის შემდეგ გოლოვკოს სტუმარი ემილ ჰესკისთვის ხელი შემოურტყამს და ამიტომაც დასაჯეს.



სტივენ ჯერარდი ან ითამაშებს, ან არა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 4 | 2 | 2 | 0 | 4:2 | 8 |
| ბოავიშტა | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 7 |
| დორტმუნდი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| დინამო | 4 | 0 | 1 | 3 | 4:8 | 1 |

## C ჯგუფი

### პანათინაიკოსი — შალკე

### არსენალი — მალიორკა

**„არსენალისა"** და „მალიორკას" მატჩი ფაქტობრივად ჯგუფიდან გამსვლელის ბედი წყდება, რაც ამათი დაპირისპირებისადმი ინტერესს ერთიორად ზრდის.

ლონდონელთა სალაზარეთო უსიამოვნებები გრძელდება. ეშლი კოული, ტონი ადამსი, ლი დიქსონი, დევიდ სიმენი — ეს ის ფეხბურთელები არიან, რომლებიც არსენ ვენგერს დღეს ვერაფერში გამოადგებიან.

მეკარის პრობლემა აქვს „მალიორკასაც". ერთ დროს საუკეთესო არგენტინელი მეკარე კარლოს როა სერიოზულად დაშავდა და სულ მცირე, რამდენიმე კვირას ვერ ითამაშებს. ესპანელთათვის როას დაშავება მით უფრო სამწუხაროა, რომ ლეო ფრანკოც ტრავმირებულია და კარის დარაჯად მესამე მეკარე, მიკილა რჩება, რომელიც „მალიორკა B"-დან აიყვანეს. სათადარიგოთა სკამზე კი ფრანკო იჯდება, ისე, ყოველი შემთხვევისთვის.

მეორე მატჩში „პანათინაიკოსი" მასპინძლობს „შალკეს". ბერძნებს მცველი სოტირის კირგიაკოსი ჰყავთ დისკვალიფიცირებული. სამაგიეროდ, დაუბრუნდათ ცენტრალური მცველი იანის გუმასი, რომელიც ტრავმის მოშუშებას სამი თვე მოუნდა.

გერმანელთა ბელგიელმა თავდამსხმელმა ემილ მპენზამ რამდენიმე დღის წინ მყესზე ოპერაცია გაიკეთა, რაც ნიშნავს, რომ წლის ბოლომდე მინდორზე არაფერი ესაქმება. ასევე თამაშგარეთაა დარჩენილი მუხლნატკენი ნიგერიელი ვიქტორ აგალი. ჯერალდ ასამოა კი ფრთხილად უნდა იყოს, რაკი დისკვალიფიკაციამდე ერთი ყვითელი ბარათიღა უკლია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:2 | 9 |
| მალიორკა | 4 | 2 | 0 | 2 | 2:6 | 6 |
| არსენალი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 6 |
| შალკე | 4 | 1 | 0 | 3 | 6:6 | 3 |



გელზენკირხენში „პანათინაიკოსმა" „შალკეს" ორი უპასუხო გოლი გაუტანა

## D ჯგუფი

### პსვ — ნანტი

### ლაციო — გალათასარაი




პირველ წრეში „გალათასარაიმ" რომაელებს კარში ხეირიანადაც არ დაარტყმევინა

**„ლაციოს"** მოგება სჭირდება, „გალათასარაიც" რომის დასათვალიერებლად ნამდვილად არ ჩასულა. თუ რომაელები ამ თამაშს მოიგებენ, მათი შანსები ერთიორად გაიზრდება. ფორმაში შევიდა ერნან კრესპო, რომელიც წინა ტურში მეორედ ტრავმირებული იყო. ასე და ამგვარად, ალბერტო ძაკერონი ლიგაში თავის მეორე თამაშის მოგებას შეეცდება. ეს „ლაციოს" ბოლო შანსია — წარმატება ლიგაში ან იტალიის ჩემპიონატში.

საერთოდ თურქები, კერძოდ, „გალათასარაი" „მილანის" მჩაგვრებლად მოიხსენიებიან, მაგრამ „ლაციო" ამჯერად იოლად დასამარცხებელი გუნდი ნამდვილად არ არის. მით უმეტეს, ძაკერონის შეგირდები ლიგის მეორე ეტაპზე გასასვლელად იბრძოლებენ.

ჰოლანდიის შარშანდელი ჩემპიონის ამჟამინდელი გამოსვლა უკეთეს შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა შინ „ლაციოს" წამქცევს ისიც შეუძლია, რომ „ნანტთან" არ დამარცხდეს. თუ ჰოლანდიელები ქულის მოპოვებას მაინც მოახერხებენ, ათი მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდება. თუ „ნანტი" გამარჯვებას შეძლებს, ეს ლიგაში ფრანგთა მეორე მოგება იქნება, რაც მათ შემდგომ ეტაპზე გასვლის საშუალებას მისცემს.

ამ შემთხვევაში პარადოქსის მოწმენი გავხდებით. ჯგუფურ ტურნირიდან გააღწევს გუნდი, რომელსაც შინაურ ჩემპიონატში ერთი მოგებაც არა აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კრისტოფ დაუმს ჟურნალისტების და სასამართლოს ობიექტურობის იმედი აქვს

# თუ დაუმს დაუმტკიცებს...

**გერმანიაში** „ლევერკუზენის“ ყოფილი მწვრთნელის კრისტოფ დაუმის სასამართლო დაიწყო. თურქული „ბეშიქთაშის“ ამჟამინდელმა თავკაცმა შეიძლება, მწვრთნელის ლიცენზიაც დაკარგოს და 5 წელი ციხეშიც გაატაროს. შეგახსენებთ, რომ მას 1999-2000 წლებში კოკაინის არაერთგზის შეძენაში სდებენ ბრალს. სკანდალი შარშან, ევრო 2000-ის შემდეგ აგორდა. დაუმს, რომელიც გერმანიის ნაკრების მწვრთნელობის მთავარი კანდიდატი იყო, სამედიცინო ტესტმა ნარკოტიკების მოხმარება დაუმტკიცა. შემდეგ დაუმი ფლორიდაში გაემგზავრა, სადაც განმეორებითი ანალიზები გაიკეთა, მერე კი „ლევერკუზენიდან“ და საერთოდაც გერმანიიდან საბოლოოდ თურქეთს მიაშურა და სამშობლოს გუშინდლა, სასამართლოზე ჩვენებების მისაცემად დაუბრუნდა.

აღსანიშნავია, რომ წლეულს იანვარში თავად კრისტოფ დაუმმა აღიარა, რომ რამდენჯერმე მართლაც მოიხმარა ნარკოტიკი, თუმც ის, რომ სხვებს ავალებდა მისთვის კოკაინის შეძენას, ამას დღესაც უარყოფს.

სასამართლო სხდომაზე დაუმი საკმაოდ მშვიდად გამოიყურებოდა. გერმანიის ყოფილმა სამაგალითო მწვრთნელმა პრესას ობიექტურობისკენ მოუწოდა.

**სერგი ძორიძე**

# ირანი ფიფაში, საუდეთი კორეა-იაპონიაში



**წინა უქმეებზე** მსოფლიოს ჩემპიონატის აზიურ შესარჩევ ჯგუფში ირანი დამარცხდა ბაჰრეინთან. არადა, რომ მოეგო, კორეა-იაპონიაში უპლეიოფოდ მიდიოდა. ირანელებმა მატჩის შედეგი გააპროტესტეს, მეტოქეს რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი ჰყავდა მინდორზე, რომელთაც თამაშის უფლება არ ჰქონდათ. აღნიშნული საჩივარი ფიფამ განიხილა და მისი მართებულობის დამადასტურებელ საბუთებს ვერ მიაგნო.

მოკლედ, ირანი საბოლოოდ მეორე ადგილზე დარჩა, რაც ნიშნავს, რომ ჯგუფის გამარჯვებული საუდის არაბეთი მსოფლიოს ჩემპიონატზე გავიდა.

საუდეთში ზეიმია. ხუმრობა ხომ არ არის, საუდის არაბეთი პირველი არაბული ქვეყანა შეიქნა, რომელმაც ზედიზედ სამჯერ გააღწია მსოფლიოს ჩემპიონატებზე.

ზღვა ხალხი გამოეფინა ერ რიადის ქუჩებში და მწვანე დროშების ფრიალს ერთხმად აყოლებდნენ: „არა არს ღმერთი ჭეშმარიტი გარდა ალაჰისა“. ისე საინტერესოა, ყველაზე ცნობილმა საუდელმა ოსამა ბინ ლადენმა თუ გაიხარა ამ ამბით?

## მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებენ

საფრანგეთი (ჩემპიონი)
იაპონია (მასპინძელი)
სამხრეთ კორეა (მასპინძელი)
კამერუნი
ნიგერია
სენეგალი
სამხრეთ აფრიკა
ტუნისი
კოსტა რიკა
არგენტინა
შვედეთი
პოლონეთი
ესპანეთი
რუსეთი
ინგლისი
ხორვატია
პორტუგალია
დანია
იტალია
აშშ
ჩინეთი
საუდის არაბეთი

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წილისყრა გაიმართება პუსანში (სამხრეთ კორეა) 1 დეკემბერს

## დანია

XIII ტური

ოლბორგი 1:4 ორჰუსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 13 | 9 | 3 | 1 | 32:6 | 30 |
| ოლბორგი | 13 | 8 | 2 | 3 | 22:18 | 26 |
| ესბიერგი | 13 | 8 | 1 | 4 | 21:19 | 25 |
| კოპენჰაგენი | 13 | 7 | 3 | 3 | 20:11 | 24 |
| აკადემისკი | 13 | 5 | 6 | 2 | 22:13 | 21 |
| მიდტიულანდი | 13 | 4 | 6 | 3 | 15:12 | 18 |
| ოდენსე | 13 | 4 | 4 | 5 | 18:20 | 16 |
| ლიუნგბიუ | 13 | 2 | 6 | 5 | 13:21 | 12 |
| ვიბორგი | 12 | 2 | 5 | 5 | 13:16 | 11 |
| ორჰუსი | 13 | 2 | 5 | 6 | 13:22 | 11 |
| ვაილე | 12 | 2 | 4 | 6 | 14:27 | 10 |
| სილკებორგი | 13 | 0 | 3 | 10 | 9:27 | 3 |

## ნორვეგია

25-ე ტური: ბოდიო გლიმტი — ვიკინგი 2:1; ბრინი — ოდ გრენლანდი 1:3; მოლდე — ბრანი 0:3; მოსი — ლილესტრიომი 0:2; რუსენბორგი — სტაბეკი 0:1; სტრიომსგოდსეტი — სოგნდალი 2:2; ტრომსიო — ლინი 2:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 25 | 16 | 6 | 3 | 65:28 | 54 |
| ლილესტრიომი | 25 | 16 | 5 | 4 | 61:32 | 53 |
| ვიკინგი | 25 | 14 | 6 | 5 | 42:28 | 48 |
| მოლდე | 25 | 13 | 4 | 8 | 53:40 | 43 |
| სტაბეკი | 25 | 13 | 3 | 9 | 43:38 | 42 |
| ბრანი | 25 | 12 | 5 | 8 | 61:42 | 41 |
| ოდ გრენლანდი | 25 | 11 | 6 | 8 | 46:38 | 39 |
| ბოდიო გლიმტი | 25 | 7 | 8 | 10 | 43:44 | 29 |
| მოსი | 25 | 9 | 2 | 14 | 34:46 | 29 |
| სოგნდალი | 25 | 8 | 5 | 12 | 42:59 | 29 |
| ლინი | 25 | 6 | 8 | 11 | 39:46 | 26 |
| ბრინი | 25 | 5 | 4 | 16 | 30:60 | 19 |
| სტრიომსგოდსეტი | 25 | 3 | 10 | 12 | 38:69 | 19 |
| ტრომსიო | 25 | 4 | 4 | 17 | 22:49 | 16 |

## ჩეხეთი

მე-11 ტური: ბოჰემიანსი — ჰრადეც კრალოვე 2:2; სინოტი — ბრნო 1:2; ბლშანი — ტეპლიცე 1:3; სპარტა — ბანიკი 4:0; ლიბერეცი — სლავია 2:0; ოპავა — იაბლონეცი 1:0; პრჟიბრამი — დრნოვიცე 1:0; სიგმა — ქიქკოვი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 11 | 9 | 0 | 2 | 22:6 | 27 |
| ჟიჟკოვი | 11 | 8 | 1 | 2 | 19:7 | 25 |
| ბოჰემიანსი | 11 | 7 | 3 | 1 | 18:6 | 24 |
| ბანიკი | 11 | 6 | 2 | 3 | 19:14 | 20 |
| ლიბერეცი | 11 | 5 | 4 | 2 | 17:11 | 19 |
| სლავია | 11 | 5 | 1 | 5 | 17:16 | 16 |
| ბრნო | 11 | 4 | 4 | 3 | 13:14 | 16 |
| დრნოვიცე | 11 | 4 | 2 | 5 | 15:13 | 14 |
| სინოტი | 11 | 3 | 4 | 4 | 9:13 | 13 |
| ჰრადეც კრალოვე | 11 | 4 | 1 | 6 | 13:23 | 13 |
| ტეპლიცე | 11 | 3 | 3 | 5 | 13:16 | 12 |
| იაბლონეცი | 11 | 3 | 3 | 5 | 9:12 | 12 |
| პრჟიბრამი | 11 | 3 | 2 | 6 | 10:17 | 11 |
| ბლშანი | 11 | 3 | 1 | 7 | 17:22 | 10 |
| სიგმა | 11 | 2 | 4 | 5 | 10:17 | 10 |
| ოპავა | 11 | 1 | 1 | 9 | 8:22 | 4 |

## საბერძნეთი

მე-4 ტური: პაოკ — პანიონიოსი 3:1; ოფი — აკრატიტოსი 1:0; ოლიმპიაკოსი — იონიკოსი 5:0; პანათინაიკოსი — პანაჰაიკი 8:0; ირაკლისი — ეგალეო 2:0; ეთნიკოსი — აეკ 2:0; არისი — ქსანთი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 4 | 3 | 1 | 0 | 11:1 | 10 |
| აეკ | 4 | 3 | 0 | 1 | 8:3 | 9 |
| პანათინაიკოსი | 4 | 2 | 2 | 0 | 15:3 | 8 |
| ირაკლისი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| ეთნიკოსი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| ოფი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:6 | 7 |
| არისი | 4 | 1 | 3 | 0 | 3:2 | 6 |
| პაოკ | 4 | 1 | 2 | 1 | 6:6 | 5 |
| აკრატიტოსი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:3 | 4 |
| ქსანთი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| პანაჰაიკი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:13 | 4 |
| პანიონიოსი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:8 | 2 |
| იონიკოსი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:9 | 1 |
| ეგალეო | 4 | 0 | 1 | 3 | 3:11 | 1 |

## შვედეთი

25-ე ტური: ჰამარბი — ოორგრიტე 3:2; ნორჩოპინგი — ტრელებორგი 5:0; ჰეკენი — სუნდსვალი 2:1; იურგორდენი — ჰელსინგბორგი 3:2; მალმიო — ელფსბორგი 3:1; ოორებრო — აიკ 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰამარბი | 25 | 14 | 6 | 5 | 45:27 | 48 |
| იურგორდენი | 25 | 12 | 8 | 5 | 33:24 | 44 |
| აიკ | 25 | 11 | 9 | 5 | 43:29 | 42 |
| გიოტებორგი | 24 | 11 | 8 | 5 | 39:27 | 41 |
| ჰელსინგბორგი | 25 | 10 | 9 | 6 | 44:29 | 39 |
| ჰალმსტადი | 24 | 10 | 7 | 7 | 47:27 | 37 |
| ოორგრიტე | 25 | 9 | 9 | 7 | 35:33 | 36 |
| ოორებრო | 25 | 8 | 9 | 8 | 48:43 | 33 |
| მალმიო | 25 | 9 | 5 | 11 | 39:44 | 32 |
| ნორჩოპინგი | 25 | 7 | 8 | 10 | 29:39 | 29 |
| ელფსბორგი | 25 | 8 | 3 | 14 | 30:51 | 27 |
| სუნდსვალი | 25 | 6 | 8 | 11 | 27:37 | 26 |
| ჰეკენი | 25 | 5 | 8 | 12 | 33:48 | 23 |
| ტრელებორგი | 25 | 3 | 5 | 17 | 25:59 | 14 |

## ფეხბურთის რუბრიკა



**ინგლისური** პრემიერლიგის ერთ-ერთი გრანდის, ლონდონის „არსენალის“ ლეგენდარული მენეჯერი ბერტი მეი 82 წლისა გარდაიცვალა. „ჰაიბერიზე“ მისი ათწლიანი მუშაობის პერიოდში კლუბის ყველაზე დიდი მიღწევა 1971 წელს შესრულებული დუბლი გახდა.

**ფრანგული** „პარი სენ ჟერმენის“ მეკარემ, ჟერომ ალონზომ, „სედანთან“ მატჩში ტრავმა მიიღო და, ალბათ, რვა კვირით მაინც მოუწევს დასვენება. აღსანიშნავია, რომ ეს უკვე კლუბის მეორე მეკარეა, რომელმაც ამ სეზონში ტრავმა მიიღო. ლეონელ ლეტიზი, რომელსაც მარჯვენა კოჭი აწუხებს, მხოლოდ სამი კვირის შემდეგ შეძლებს დაბრუნებას. ახლა პარიზელთა კარს ლუქსემბურგის ნაკრების მეკარე, 22 წლის სტეფან ჟილე დაიცავს.

**ინგლისური** „ნიუკასლის“ 14,3 მილიონის ღირებულების აქციები შეფარდების ფინანსურმა ჯგუფმა „პრემიუმ TV-ისაგან“ შეიძინა. ახლა შეფარდებისა და მათი კომპანიონი ჰალების ოჯახები კლუბის აქციების 65 პროცენტს ფლობენ.

**დანიის** ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი, ამჟამად კი ქვეყნის ეროვნული გუნდის მწვრთნელის თანაშემწე მიქაელ ლაუდრუპი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებიდან წასვლას აპირებს. „შემეძლო კიდევ ორი წლით გამეხანგრძლივებინა კონტრაქტი, მაგრამ წასვლა გადავწყვიტე, რას გავაკეთებ მერე, ჯერ არ ვიცი“ — განაცხადა 37 წლის ლაუდრუპმა. „ჩვენ შესანიშნავი ურთიერთობა გვაქვს როგორც პროფესიული, ასევე ადამიანური თვალსაზრისით. საწყენია, რომ იგი გვტოვებს“ — აღნიშნა ნაკრების თავკაცმა მორტენ ოლსენმა.

**ხორვატიის** ჩემპიონი სპლიტის „ჰაიდუკი“ თავისი ფეხბურთელების შენარჩუნებას ლამობს და რამდენიმე მათგანთან უკვე მოაწერა ხელი ახალ სამწლიან კონტრაქტს, თუმც „ჰაიდუკის“ ყველაზე პერსპექტიული ფეხბურთელი, ხორვატიის ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელი მატია ბილიჩი შესაძლოა მაინც წავიდეს. ბილიჩმა კლუბს მომდევნო ორ სეზონში 500 000 დოლარი მოსთხოვა, რაც, ხორვატული კლუბის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შეუძლებელია. ამჟამად „ჰაიდუკსა“ და ფეხბურთელს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობს. სპლიტელები ცდილობენ, თავდამსხმელს თანხა შეამცირებინონ.

**ბელარუსის ნაკრებისა და მოსკოვის „სპარტაკის“ თავდამსხმელმა რომან ვასილიუკმა ამ სეზონის დამთავრების შემდეგ მინსკის „დინამოში“ თამაშის სურვილი გამოთქვა. ვასილიუკი, „სპარტაკში“ ამ ზაფხულს ბელარუსული „მოზირიდან“ გადავიდა და უკმაყოფილოა, რადგან ძირითად შემადგენლობაში თამაშის შესაძლებლობა იშვიათად ეძლევა, თუმც „სპარტაკის“ მწვრთნელის ვიაჩესლავ გროზნის თქმით, რუსულ კლუბი ვასილიუკის გაშვებას არ აპირებს.**

**საფრანგეთის** ნაკრების ყოფილი მეკარის ბერნარ ლამას თქმით, მან შესაძლოა, იაპონიის ნაკრებში მეკარეების მწვრთნელად დაიწყოს მუშაობა. 38 წლის ლამამ, რომელმაც პროფესიული კარიერა წინა სეზონში დაასრულა, გასულ თვეში უკვე მონაწილეობდა იაპონიის ნაკრების საწვრთნელ პროცესში სენეგალთან ამხანაგური მატჩის წინ. ყოფილი მეკარე ახლა იაპონიიდან საბოლოო პასუხს ელოდება და თვლის, რომ შეუძლია, ბევრი რამ ასწავლოს აზიელებს: „მათ ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდები ჰყავთ. თუკი მიმიწვევენ დიდი სიამოვნებით გავუზიარებ ყველაფერს, რაც ვიცი“.

**იაპონური ჯეი ლიგის კლუბმა „ტოკიო ვერდიმ“ ბრაზილიელ ედმუნდოს სამთვიანი კონტრაქტი გაუფორმა. 30 წლის ედმუნდო, რომელსაც აქამდე ჩატარებულ 214 მატჩში 112 გოლი გაუტანია, იაპონელებს ბევრ გოლს ჰპირდება.**

**ავსტრალიის** ნაკრების მწვრთნელმა ფრენკ ფარინამ ნაკრების 22-კაციანი სია გამოაქვეყნა, რომელიც 11 ნოემბერს ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს საფრანგეთთან, შემდეგ კი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ პლეი ოფში ითამაშებს სამხრეთ ამერიკის მეხუთე გუნდთან. განაცხადში ვერ მოხვდა „ჩელსის“ მეკარე მარკ ბოსნიჩი. ნაკრებს მიღმაა დარჩენილი ნორვეგიული „ლილესტრომის“ საუკეთესო ბომბარდირი და კონფედერაციათა თასზე საფრანგეთის კარში გოლის ავტორი კლეიტონ ზანეც. სამაგიეროდ განაცხადში არიან „მიდლსბროს“ გოლკიპერი მარკ შვარცერი, გერმანიაში მოთამაშე დავიდ ზდრილიჩი და, რაც მთავარია, ჰარი კიუელი — მარკ ვიდუკას დუეტი, რომელთაც ნაკრებში თებერვალში უნგრელების დამარცხების შემდეგ არ უთამაშიათ. პლეი ოფის პირველი მატჩი სავარაუდოდ 18 ნოემბერს გაიმართება სიდნეის „კრიკეტ გრაუნდზე“. ზუსტი თარიღი ჯერ კიდევ არაა დადგენილი, თუმც ფიფას რეგლამენტით პლეი ოფების ჩატარების ბოლო ვადა 25 ნოემბერია.

**ფრანგული „მონაკოს“ მწვრთნელ დიდიე დეშანს, მარკო სიმონესა და კრისტიან პანუჩის შემდეგ ურთიერთობა არგენტინელ მარსელო გალიარდოსთანაც გაუფუჭდა. კონფლიქტის მიზეზი გალიარდოს ქცევა გახდა. მას შემდეგ, რაც არგენტინელმა გაიგო, რომ იგი „გენგამთან“ მატჩში სათადარიგო იქნებოდა, საერთოდ აღარ მივიდა მატჩზე. „შოკირებული ვარ, მისი საქციელი მიუღებელია. მარსელოს გუნდის პატივისცემა მოუწევს, ან იგი საერთოდ წავა კლუბიდან“ — განაცხადა დეშანმა.**

**ბელარუსული** „ტორპედო მაზ“-ის მწვრთნელი ანატოლი იურევიჩი ჩემპიონატში გუნდის უსუსური თამაშის გამო თანამდებობიდან გადადგა. გუნდმა ბოლო ხუთი მატჩი წააგო. არადა, სეზონის დასაწყისში საპრიზო ადგილზე გასვლას გეგმავდა.

**გერმანიის საფოსტო ბანკი მალე ორწლიან სარეკლამო კონტრაქტს გააფორმებს ფრანც ბეკენბაუერთან. „ფრანც ბეკენბაუერის პოპულარობა და შარმი ჩვენი ბანკისთვის შესანიშნავი რეკლამა იქნება“ — განაცხადა საფოსტო ბანკის წარმომადგენელმა, პროფესორმა გერტ შუკისმა. ასე რომ, ბეკენბაუერი, რომლის მამა თავის დროზე სწორედ ფოსტაში მუშაობდა, ერთი მილიონი მარკით გამდიდრდება. ისე, ბეკენბაუერის სარეკლამო კარიერა შორეულ 1967 წელს იღებს სათავეს, როდესაც მომავალმა კაიზერმა სუფების რეკლამაში 12 000 მარკა მიიღო.**

**დანიელი** სპეციალისტი ალან სიმონსენი, რომელიც ფარერების ნაკრებს ავარჯიშებდა და მომავალში შოტლანდიის ნაკრების გაწვრთნასაც აპირებდა, 1 ნოემბრიდან ლუქსემბურგის ეროვნულ გუნდს ჩაუდგება სათავეში. 48 წლის სიმონსენს თავის საფეხბურთო კარიერის მანძილზე მრავალი ჯილდო მოუხვეჭია. ორჯერ იყო უეფას, ხოლო ერთხელ თასების თასის მფლობელი, ეროვნულ ნაკრებში ჩატარებულ 43 მატჩში 22 გოლი გაიტანა და 1977 წელს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

**ლატვიის ფეხბურთის ფედერაციამ ბალტიისპირეთის სამივე ქვეყნის ეროვნულ პირველობათა ერთ ლიგად გაერთიანების სურვილი გამოთქვა. ფედერაციის გენერალური მდივანი იანის მაზეკისი უკვე ესაუბრა თავის ლიტველ და ესტონელ კოლეგებს, რომელთაც იდეა მოიწონეს. „ეს პროექტი ჩვენს ფეხბურთს უფრო კონკურენტუნარიანს გახდის“ — განაცხადა მაზეკისმა. ბალტიის ლიგაში 16 გუნდი გამოვა და ორ წრედ ითამაშებს.**



„მიდლსბრომ" სამი ქულა იშოვა, პოლ ინსი (№9) კი დაკარგა

# ბორო წამოიქაჩა

## ინგლისი

**პრემიერლიგა**

**X ტური**

**მიდლსბრო 2:0 სანდერლენდი**

1:0 კედრუ (2), 2:0 ბოკშიჩი (20)

მიდლსბრო: შვარცერი, სტოკდეილი, ეჰიოგუ, საუთგეიტი, გორდონი, მარინელი (ჯონსტონი 67), მასტრო, ნემეტი (უინდასი 73), ბოკშიჩი (უილსონი 86)

სანდერლენდი: სორენსენი, ჰაასი, კრადოკი, ვარგა, გრეი, მაკკარტნი, მაკკეინი, შვარცი (ბელიონი 76), არკა, ფილიპსი, ქუინი (ლასლანდი 90)

გაფრთხილება: გორდონი, შვარცი, ქუინი

გაძევება: ინსი (72)

მსაჯი: მ. ჰესლი

28 432 მაყურებელი

**ჩანს,** „მიდლსბრომ" გამოიღვიძა და სეზონის დასაწყისში ზედიზედ წაგებების შემდეგ, უკვე მესამედ მოიგო. ჩრდილოაღმოსავლურ დერბიში „სანდერლენდის" წინააღმდეგ „ბორომ" პირველ ტაიმში მიღწეული ათი კაცით შეინარჩუნა მეორეში.

პირველ ნახევარში ახალბედა ფრანკ კედრუმ და ალენ ბოკშიჩმა თითო გოლი გაიტანეს. „ლანსიდან" ნათხოვარმა კედრუმ მშვენივრად ითამაშა წინა ხაზზე და მენეჯერ სტივ მაკლარენის ქებაც დაიმსახურა. ფრანგმა უკვე მეორე წუთზე გამოიჩინა თავი, როცა ხუთიოდ იარდიდან დააჭედა თავური კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს.

მეორე გოლი 20-ე წუთზე გავიდა ბოკშიჩის საფირმო თავურითვე.

შეხვედრის დასრულებამდე 17 წუთი რჩებოდა, როცა „ბოროს" კაპიტანმა პოლ ინსმა გოლიათ ირლანდიელთან, ნეილ ქუინთან ბურთისთვის ბრძოლა გასწია და ეს საქმე მუშტიკრივში გადაიზარდა, ამ ორი დროული და ღვაწლმოსილი ადამიანის შეჯახება ინსის გაძევებით დასრულდა.

ამის მიუხედავად: „ჩვენ კარგად ვითამაშეთ. ამ სეზონში შეტევაში საუკეთესოდ გამოვიყურებოდით", თქვა მაკლარენმა.

„სულელური გოლები გავუშვით. ბურთი გვეჭირა, მაგრამ მოწინააღდეგის საჯარიმოში ვერ ვივაჟკაცეთ" — ასეთი იყო „სანდერლენდის" თავკაცის პიტერ რიდის აზრი.

გუნდები ერთმანეთს გაუმეზობლდნენ ცხრილში, „ბორო" ერთი ქულითღა ჩამორჩება 12-ე ადგილზე მყოფ „სანდერლენდს".

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიდსი | 9 | 5 | 4 | 0 | 12:3 | 19 |
| არსენალი | 9 | 5 | 3 | 1 | 21:8 | 18 |
| მანჩესტერი | 9 | 5 | 2 | 2 | 26:16 | 17 |
| ლივერპული | 8 | 5 | 1 | 2 | 15:9 | 16 |
| ასტონ ვილა | 8 | 4 | 3 | 1 | 13:6 | 15 |
| ბოლტონი | 10 | 4 | 3 | 3 | 12:11 | 15 |
| ჩელსი | 8 | 3 | 5 | 0 | 12:7 | 14 |
| ევერტონი | 9 | 4 | 2 | 3 | 15:12 | 14 |
| ტოტენჰემი | 10 | 4 | 2 | 4 | 16:14 | 14 |
| ნიუკასლი | 9 | 4 | 2 | 3 | 15:13 | 14 |
| ბლეკბერნი | 10 | 3 | 4 | 3 | 18:14 | 13 |
| სანდერლენდი | 10 | 3 | 3 | 4 | 9:12 | 12 |
| მიდლსბრო | 10 | 3 | 2 | 5 | 10:17 | 11 |
| ჩარლტონი | 8 | 2 | 4 | 2 | 8:8 | 10 |
| ფულემი | 9 | 1 | 5 | 3 | 8:11 | 8 |
| ვესტ ჰემი | 8 | 2 | 2 | 4 | 7:16 | 8 |
| იფსვიჩი | 9 | 1 | 4 | 4 | 7:12 | 7 |
| დერბი | 9 | 1 | 3 | 5 | 7:16 | 6 |
| საუთჰემპტონი | 8 | 2 | 0 | 6 | 5:14 | 6 |
| ლესტერი | 10 | 1 | 2 | 7 | 6:23 | 5 |

## გერმანია

**II ბუნდესლიგა**

**X ტური**

**არმინია 4:1 უნიონი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაინცი | 10 | 8 | 1 | 1 | 23:9 | 25 |
| ჰანოვერი | 10 | 6 | 4 | 0 | 29:9 | 22 |
| არმინია | 10 | 7 | 1 | 2 | 21:8 | 22 |
| ფიურტი | 10 | 5 | 3 | 2 | 15:8 | 18 |
| აინტრახტი | 10 | 5 | 3 | 2 | 18:12 | 18 |
| ალენი | 10 | 6 | 0 | 4 | 21:26 | 18 |
| უნიონი | 10 | 5 | 2 | 3 | 24:15 | 17 |
| უნტერჰახინგი | 10 | 5 | 2 | 3 | 14:11 | 17 |
| ბოხუმი | 10 | 4 | 4 | 2 | 21:17 | 16 |
| კარლსრუე | 10 | 4 | 1 | 5 | 11:16 | 13 |
| შვაინფურტი | 10 | 3 | 3 | 4 | 7:11 | 12 |
| ბაბელსბერგი | 10 | 3 | 1 | 6 | 12:23 | 10 |
| ვალდჰოფი | 10 | 2 | 3 | 5 | 11:18 | 9 |
| ალემანია | 10 | 2 | 3 | 5 | 8:15 | 9 |
| როიტლინგენი | 10 | 2 | 2 | 6 | 17:23 | 8 |
| ობერჰაუზენი | 10 | 1 | 2 | 7 | 12:22 | 5 |
| დუისბურგი | 10 | 0 | 5 | 5 | 10:20 | 5 |
| ზაარბრიუკენი | 10 | 1 | 2 | 7 | 7:18 | 5 |

## პორტუგალია

**IX ტური**

**სპორტინგი 0:0 სანტა კლარა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოავიშტა | 10 | 7 | 1 | 2 | 18:8 | 22 |
| ბენფიკა | 9 | 4 | 5 | 0 | 17:11 | 17 |
| პორტუ | 9 | 5 | 1 | 3 | 17:7 | 16 |
| ბეირა მარი | 9 | 4 | 3 | 2 | 21:15 | 15 |
| მარიტიმუ | 9 | 5 | 0 | 4 | 15:11 | 15 |
| სპორტინგი | 9 | 4 | 2 | 3 | 14:9 | 14 |
| ბელენენსეში | 9 | 4 | 1 | 4 | 14:14 | 13 |
| გიმარაეში | 9 | 4 | 1 | 4 | 9:14 | 13 |
| ბრაგა | 9 | 3 | 2 | 4 | 14:9 | 11 |
| სეტუბალი | 9 | 3 | 2 | 4 | 14:13 | 11 |
| ლეირია | 9 | 2 | 5 | 2 | 9:9 | 11 |
| ჟილ ვისენტე | 9 | 3 | 2 | 4 | 8:12 | 11 |
| ფარენსე | 9 | 3 | 2 | 4 | 8:13 | 11 |
| სანტა კლარა | 10 | 2 | 4 | 4 | 8:15 | 10 |
| ალვერკა | 9 | 3 | 1 | 5 | 13:21 | 10 |
| სალგეიროში | 9 | 3 | 1 | 5 | 8:17 | 10 |
| ფერეირა | 9 | 1 | 5 | 3 | 10:11 | 8 |
| ვარზიმი | 9 | 2 | 2 | 5 | 10:18 | 8 |

# გორდონ სტრაჩანი ხუთი წლით უკან დაბრუნდა

**სქოთი** გორდონ სტრაჩანი „საუთჰემპტონის" მწვრთნელად დაინიშნა. ახლა მან უნდა შეძლოს ის, რაც ხუთი წლის წინ „ქოვენთრიში" მოახერხა.

ხუთი წლის წინ კი, დაახლოებით ამავე დროს, „ქოვენთრი" პრემიერლიგაში ბოლოსწინა ადგილზე იყო და კლუბის ბოსებმა საშველად სტრაჩანს უხმეს. მანაც „ქოვენთრის" პრემიერლიგაში ადგილი შეუნარჩუნა და ისე კარგად აათამაშა, მომდევნო სეზონებში ორჯერ ლამის უეფას თასის საგზური მოაპოვებინა.

მაგრამ „ქოვენთრის" პრემიერლიგაში კიდევ დიდხანს ყოფნა არ ეწერა და წინა სეზონის ბოლოს გავარდა. გავარდა და დატოვა რეკორდი — უმაღლეს ინგლისურ დივიზიონში ზედიზედ 34 წელი არც ერთ სხვა გუნდს არ გაუძლია.

გორდონ სტრაჩანს ქოვენთრელებმა წინა სეზონის ჩავარდნა აპატიეს, მაგრამ ამ სეზონში გუნდის საქმეები ისე წავიდა, პრემიერლიგაში დაბრუნება, ალბათ, არ უწერია და მწვრთნელი მოხსნეს. ეს ამბავი ექვსი კვირის წინ მოხდა.

ახლა კი 44 წლის შოტლანდიელი ყველაფერს თავიდან იწყებს — მას ისევ გასავარდნთა ზონაში მყოფი გუნდი ანდეს. „დარწმუნებული ვარ, სტრაჩანი ჩვენთან დიდი ხნით დარჩება — თქვა პრესკონფერენციაზე სამხრეთელთა თავმჯდომარე რუპერტ ლოუმ — გორდონის ცოდნა, გამოცდილება და ლიდერის თვისებები იმედს გვაძლევს, რომ გუნდი სულ მალე დადგება ფეხზე და ისე ათამაშდება, ჩვენს ახალ, დიდებულ სტადიონს რომ ეკადრება". შევნიშნოთ, რომ „საუთჰემპტონს" ახალ „სენტ მერიზე" ჯერ თამაში არ მოუგია.

ამავე პრესკონფერენციაზე ახალდანიშნულმა მწვრთნელმა თქვა: „უფეხბურთოდ ცხოვრება ვერ წარმომიდგენია და ამიტომაც ვარ აქ. საერთოდ, როცა გუნდში ღრმა კრიზისია, შემადგენლობის გადახალისებაა საჭირო, მაგრამ აჩქარებას არ ვაპირებ. მინდა, ყველას მივცე გაფუჭებული საქმის გამოსწორების შანსი".

გორდონ სტრაჩანი, რომელსაც ფეხბურთელობისას „აბერდინში", „მანჩესტერ იუნაიტედსა" და „ლიდსში" უთამაშ[illegible] ბრიტანეთის [illegible] რთულ[illegible] კაცად არის ცნობილი, რაც არასდროს აბრალებს მარცხს მოთამაშეებს და მსაჯებსაც არ ედავება.

თხრობა სრული რომ გამოგვივიდეს, „საუთჰემპტონის" ყოფილ მწვრთნელზეც ვთქვათ. კლუბიდან გლენ ჰოდლის წასვლის მერე სამხრეთელთა მესაჭეობა სტიუარტ გრეის ჩააბარეს. ახლა კი რუპერტ ლოუმ თქვა, გრეის დანიშვნა შეცდომა არ ყოფილა და მისი საწინააღმდეგოც არაფერი გვქონდა, მაგრამ ჩვიდმეტ მატჩში მხოლოდ ოთხის მოგებამ გვაიძულა, ეს ნაბიჯი გადაგვედგაო.

**ირაკლი ნინიძე**





გრეი წავიდა, სტრაჩანი მოვიდა

# გრემმა, გამოვლესოვდიო

**ამ მომენტიდან** სადღაც წუთნახევარი იყო გასული, როცა დენი მილსმა შორიდან შეუტია „ჩელსის" კარს, მაგრამ ბურთი მიზანს ოდნავ ასცილა. არადა, ცოტა ხნით ადრე ბევრმა იფიქრა, ამ კაცს ახლა საკაცეზე წააწვენენ და უახლოეს ჰოსპიტალში უკრავენ თავსო — ლონდონელმა გრემ ლე სომ ხომ მეტოქეს გაშლილი ტყუპი ფეხი ჩააზილა ბარძაყში.

ინციდენტი კვირას, „ლიდსისა" და „ჩელსის" თვალწარმტაცი თამაშის პირველი ტაიმის ბოლოს მოხდა და მასპინძელთა მწვრთნელის დევიდ ოლირის უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია. ირლანდიელი ვერც შესვენებაზე დაწყნარდა და მსაჯ პოლ დარკინს მივარდა — ყვითელი ბარათის მეტი როგორ ვერ გაიმეტე, მაგ კაცს მოედანზე რაღა უნდაო, მაგრამ წითელ ბარათს თავად გამორჩა და მეორე ტაიმში ტრიბუნაზე აბრძანდა.

მართლაც ვანდალური საქციელი გახლდათ (ცხადია, ლე სოს ვგულისხმობთ) და მართალია, დარკინმა ეს ინციდენტი არაადეკვატურად შეაფასა, ჩელსელ ფეხბურთის ასოციაციის სასჯელი, ალბათ, არ აცდება. თავად გამოცდილმა მცველმა, ბრიტანულ საფეხბურთო წრეებში მეტად განსწავლულ და კულტურულ კაცად რომ ითვლება, იმავ საღამოს ვიდეოჩანაწერს უყურა და დანაშაული აღიარა.

„პირდაპირ ვიტყვი, რომ უბრალოდ გავგიჟდი და არანორმალური საქციელი ჩავიდინე. ასეთ რამეს ფეხბურთში ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ვფიქრობ, რომ ჩემზე „ჩელსის" მეტად დაძაბულმა კვირამ იმოქმედა, მაგრამ ეს გასამართლებელი მიზეზი ნამდვილად არაა. მე უკვე დავურეკე დენი მილსს და ბოდიში მოვუხადე, დევიდ ოლირის კი ასეთივე შინაარსის წერილი მივწერე" — განაცხადა დარცხვენილმა ლე სომ.

„დიახ, გრემი ორშაბათსვე შემეხმიანა და პატიება მთხოვა. მეც ადამიანურად გავუგე — ასეთი ამბები ხომ ფეხბურთის შემადგენელი ნაწილია. ვფიქრობ, ინციდენტი ამოწურულია" — ეს დაზარალებული მილსის სიტყვებია.

ყველაფერ ამის მიუხედავად, დევიდ ოლირის, ალბათ, გაძევებას არ გაუუქმებენ და პრემიერლიგის ერთ-ორ მატჩში თავისი გუნდის ხელმძღვანელობა ირლანდიელს კვლავ ტრიბუნიდან მოუწევს.

**გიგა ქობახიძე**





გრემ ლესოს ამ წიხლაობისთვის პოლ დარკინმა მხოლოდ ყვითელი ბარათი აჩვენა


რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80





☎ (231) 7 17 58

ქუთაისში

იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული
რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე.
საცხოვრებელი ფართი 250 მ².
დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

ირაკლი აბაშიძის გამზირი №7. კინოთეატრ "სულიკოსთან"



შოთა არველაძე „სენტ ჯონსტონთან“ მატჩში საუკეთესო იყო

# შოთას არითმეტიკა

## აიბროქსული კასტა ფხიზელი ქართველისთვის

შოთა არველაძის ბრიტანული დებიუტი წარმატებული გამოდგა. „გლაზგო რეინჯერსის“ ქართველმა შემტევმა ჯერ შოტლანდიის თასის გათამაშებაში გაუტანა ორი გოლი პირველდივიზიონელ „ერდრეს“, მერე სქოთური პრემიერლიგაც დააჭაშნიკა, „კილმარნოკს“ და „სენტ ჯონსტონს“ თითოჯერ მოუსინჯა კარის ბადე.

მთავარი ბრძოლები კი შოთასა და გლაზგოელ კათოლიკებს ჯერაც წინა აქვთ. ჩვენებურს კვლავაც მოუწევს მძაფრი კონკურენციის დაძლევა, ხოლო „რეინჯერსი“ ისევ პირველადგილოსანი „სელტიკის“ მდევარია, რომელთანაც შვიდი ქულა აშორებს. ასეა თუ ისე, პირველი შთაბეჭდილებები ბევრს ნიშნავს და ქართველმა უკვე მოაწონა თავი აიბროქსელებს. შოთასთან საუბარიც ამით დავიწყეთ.

**— პირველ სამ თამაშში ოთხი გოლი, ცხადია, კარგი შედეგია გუნდის ახალწვეული ფორვარდისთვის. კმაყოფილი ხარ ასეთი დასაწყისით?**

— ახალ კლუბში საერთოდ ძნელია პირველ მატჩებში თამაში, რადგან ყველა ზედმიწევნით შემფასებლის თვალით გიყურებს, საგანგებოდ გაკვირდებიან და ამას გრძნობ კიდეც. ვფიქრობ, რომ ნორმალურად დავიწყე, თუმცა, მოგეხსენებათ, ტრავმის გამო ექვსი კვირა გამიცდა და ამან ჩემს სპორტულ ფორმას თავისი დაღი დააჩნია.

**— „რეინჯერსში“ მარცხენა გარემარბად გიწევს თამაში, ცენტრფორვარდად ტორე ანდრე ფლოა გამწესებული, მარჯვნივ — რონალდ დე ბური. რამდენად მყუდროდ გრძნობ თავს ასეთი განლაგების დროს?**

— ეს არანაირ პრობლემას არ მიქმნის, უბრალოდ, ფლო უფრო წინ არის წაწეული. გარემარბებით „აიაქსიც“ თამაშობს ხოლმე, მაგრამ „რეინჯერსის“ სამთავდამსხმელიანი სქემა განსხვავებულია — მე და დე ბურს ფლანგზე მკაცრად ხაზზე არ გვიწევს თამაში, ცენტრისკენ ვართ შეწეულები და ხშირად ადგილებს ვუცვლით ერთმანეთს. და საერთოდ, „რეინჯერსი“ ძალიან გამოცდილი, კარგი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული და ასეთ კასტაში თამაში გიადვილდება.

**— დებიუტის შემდეგ გუნდის თავკაც დიკ ადვოკაატთან თუ გქონდა საუბარი — „რეინჯერსის“ თავდასხმაში დიდი კონკურენციაა და კარგი დებიუტი ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანი უნდა იყოს შენთვის.**

— კონკურენცია მართლაც ძალიან სერიოზულია, ადვოკაატმა კი უბრალოდ ის მითხრა, ყველაფერი შენზეა დამოკიდებულიო.

**— კონკურენცია კიდევ უფრო გაიზრდება, როცა მიხაელ მოლსი მწყობრში ჩადგება. ამ ჰოლანდიელმა ფორვარდმა ვითომ ბოლომდე კი მოიშუშა ტრავმა, მაგრამ ბოლო დროს სათადარიგოებშიც არ ჩანს...**

— მას მუხლის ერთობ რთული ტრავმა ჰქონდა, რომელიც ოპერაციის და მკურნალობის მერეც გაუმიზეზდა. მან გუნდთან ერთად ვარჯიში ახლახან დაიწყო.

**— „რეინჯერსის“ გულშემატკივრებში უკვე მოიპოვე კარგი რეპუტაცია, თუმცა ამის გამო შენგან სულ უფრო და უფრო მეტს მოითხოვენ, რაც გარკვეულწილად ფსიქოლოგიური ზეწოლაც არის.**

— მასეა, მაგრამ მეორე მხრივ, რაც უფრო მეტს ითხოვს შენგან გულშემატკივარი, უფრო ფხიზლად ხარ, თავს მოდუნების უფლებას არ აძლევ და ამ თვალსაზრისით, ყველაფერი ეს კარგად უნდა წაადგეს ფეხბურთელს.

**— ისე, მკაცრია „რეინჯერსის“ გულშემატკივარი?**

— შოტლანდიელები მეგობრული, ემოციური ხალხია, რომლებიც ფეხბურთით ცხოვრობენ. ბრიტანეთში თამაშს მართლაც თავისი განსაკუთრებული ხიბლი აქვს. ყველა საინფორმაციო საშუალებისთვის ფეხბურთი წამყვანი თემაა.

**— შოტლანდიური პრემიერლიგის მიმდინარე გათამაშებაშიც ჩემპიონობისთვის ალბათ კვლავ ორი გუნდი — „სელტიკი“ და „რეინჯერსი“ იბრძოლებენ, უკეთესი პოზიციები კი ჯერჯერობით „სელტიკს“ აქვს. როგორ შეაფასებდი „რეინჯერსის“ შანსებს?**

— შოტლანდიურ პრემიერლიგაში 38 ტურია და კიდევ 27 მატჩი გვაქვს ჩასატარებელი, რაც საკმაოდ ბევრია. თანაც ჩემპიონატის პირველ ტურებში „რეინჯერსმა“ ტრავმების გამო თორმეტი ფეხბურთელი მოისაკლისა. ის პერიოდი როგორც იქნა, გადავაგორეთ და ახლა ხომ შეიძლება, იგივე „სელტიკსაც“ დაემართოს. „სელტიკთან“ მატჩი 24 ნოემბერს გვიწევს და თუ კვლავ წავაგებთ, ჩემპიონობისთვის ბრძოლა კი გაგვიჭირდება, მაგრამ ყველაფერი ამით მაინც არ დამთავრდება.

**დავით თაგართქილაძე**

# ერთი-ორჯერაც საქმეა...

*ამრიგად ალენ გაიარის რვაწლიანი კასტრული სამწვრთნელო კარიერა დასრულდა. გაიარი წლების მანძილზე „კასტრის" მორაგბე იყო, 1989 წელს აქტიურ სპორტს გამოთხოვებულმა მშობლიური კლუბი ჩაიბარა და ოთხი წლის შემდეგ საფრანგეთის ჩემპიონიც გახადა. ერთი წლის შემდეგ გაიარი „მონფერანს" ჩაუდგა სათავეში და ამ გუნდს სამი წელი თავკაცობდა. 1998 წელს გაიარი „კასტრს" დაუბრუნდა და ორჯერ გაიყვანა ევროპის საკლუბო თასზე. თუმცა დირექტორთა საბჭომ წარსულს ყურადღება არ მიაქცია და მწვრთნელს კარისკენ მიუთითა. სიტუაციაში უკეთ გასარკვევად და იმის გასაგებად, თუ ვინ იქნება „კასტრის" მომავალი მთავარი მწვრთნელი, ლევან ცაბაძეს გუშინ საფრანგეთში დავუკავშირდით.*

— ეს წუთია კლუბის კრებიდან დავბრუნდი. გაიარის მოხსნის ამბავი ოფიციალურად დღეს გვითხრეს. ეს მოსალოდნელიც იყო, ვინაიდან სეზონი ცუდად დავიწყეთ, ამასთან გაიარს რამდენიმე წამყვან მორაგბესთან ურთიერთობაც გაუფუჭდა. ყველაფერ ამის ფონზე ვერაფრით ავაწყვეთ თამაში, ცხადი იყო, კლუბის შიდა სამზარეულოში ვერ იყო მთლად კარგად საქმე. „კასტრის" პრეზიდენტსაც პიერ პივ რევოლისაც მოუვიდა გაიართან ცხარე კამათი. ასე რომ, მე ვფიქრობ, მწვრთნელი დროულად გაუშვეს.

**— რევოლი ალბათ შედეგმა არ დააკმაყოფილა...**

— ერთია რომ თამაშს-თამაშზე ვაგებდით, მეორე საკითხია მწვრთნელის და მორაგბეების ურთიერთობა. თანაც რევოლი ჩემი სათადარიგო სკამზე ჯდომით იყო უკმაყოფილო. სხვანაირად ნუ გამიგებთ, მაგრამ სულ ეუბნებოდა მწვრთნელს, ცაბაძე ძირითადში ათამაშეო.

**— შენც გქონდა გაიართან კონფლიქტი?**

— სიმართლე გითხრა, დაძაბული ურთიერთობა არ გვქონია, მაგრამ ხშირად ვკამათობდით. ბოლოსკენ უბრად კი ვიყავით ერთმანეთთან, მაგრამ ჩხუბი ან რაიმე მსგავსი არ მოგვსვლია.

**— ახალი მწვრთნელის საკითხი როდის გადაწყდება?**

— ამ დღეებში. როგორც კრებაზე გვითხრეს, სამხრეთ აფრიკის ყოფილ მთავარ მწვრთნელთან ნიკ მალეტთან აწარმოებენ მოლაპარაკებს. რევოლი და მალეტი მეგობრები არიან და ეს ვარიანტი ყველაზე რეალურია. თანაც მალეტი რამდენიმე წელი საფრანგეთში თამაშობდა, ენასაც კარგად ფლობს. ერთი სიტყვით, ეს კაცი საფრანგეთში შინაურად ითვლება.

**— სანამ მწვრთნელს დაგინიშნავენ, ვინ უთავკაცებს გუნდს?**

— კლუბის უფროსებმა გადაწყვიტეს, რომ დროებით საფრანგეთის ეროვნული ნაკრების კაპიტანი და ჩვენი მორკინალი რაფაელ იბანიესი გვიხელმძღვანელებს.

**— ტრავმა ბოლომდე მოირჩინე?**

— დიახ, მუხლი აღარ მაწუხებს, ბოლო მატჩები ძირითად შემადგენლობაში ვითამაშე. მანამდე შეცვლებზე შევდიოდი.

**— მწვრთნელის ცვლილება პრობლემებს ხომ არ შეგიქმნის?**

— არა მგონია. ამას არც აქვს ჩემთვის მნიშვნელობა. მთავარია თავი არ დაზოგო და ვინმემ თავისი პირადი მოსაზრებების გამო არ აგითვალწუნოს. მალეტი პროფესიონალია და უკეთ იცის, საქმისთვის რა დროს რა იქნება საჭირო. არ უნდა გამიჭირდეს ძირითადში თამაში, თანაც კლუბის პრეზიდენტი ჩემდამი კეთილგანწყობილია.

**ბაჩო სვანიძე**



ამსტერდამის მარათონი

# სამნი ძმანი კენიელნი...

## კიპრონოების ოჯახს სირბილი ჰყვარებია

**ნიდერლანდების** მთავარი ქალაქი ამსტერდამია, მაგრამ მარათონი როტერდამივით პრესტიჟული როლი აქვს. კვირას იქ იყვნენ მორბენალნი, რომლებსაც მსოფლიოს დონის შედეგებზე პრეტენზია ნაკლებად აქვთ. ამის მიუხედავად, გამარჯვებულის 2:07.02 სწორედ სიმპათიური დრო გახლავთ და გვეუბნება, რომ თუ ამსტერდამში უმაღლეს ელიტას არ ურბენია, მაღალი ტემპი და აზარტი ნამდვილად იყო. სპორტი პირველ რიგში ესაა და არა ცნობილი ხალხის სიფათები. თუმცა ჩვენ ცოტა შეგვეშალა. ამსტერდამში გარბოდა ერთი დიდად ცნობილი მომარათონე, ჯოზეფატ კიპრონო, რომელმაც თვით როტერდამის მარათონი მოიგო სეზონის რეკორდით — 2:06.50. იმ და სხვა მარათონებზე კიპრონოს ახლდა უმრწემესი ძმა, ასევე მომარათონე ისააკი, რომელიც შედეგებით არ ბრწყინავდა, მაგრამ როტერდამში კარგი მე-5 ადგილი დაიკავა, რითაც მარათონების ისტორიაში საუკეთესო ოჯახური შედეგი გაფორმდა — პირველი და მეხუთე ადგილები.

ნუ იტყვით და, კიპრონოებს მესამე ძმაც არ ჰყოლიათ? ამის შესახებ უფროსმა კიპრონომ ამსტერდამის მარათონისწინა პრესკონფერენციაზე განაცხადა. ესო, მიათითა ლუკ კიბეტის გვარ-სახელით ცნობილ პიროვნებაზე, ჩემი ძმა არის, უბრალოდ, გვარი აქვს შეცვლილიო. ლუკ კიბეტი მარათონის სამყაროში ადრეც შენიშნული პიროვნება გახლავთ, მაგალითად, რომში საპატიო მე-7 ადგილი დაიკავა და ასე შემდეგ, ხოლო კვირას, ამსტერდამში სულაც მე-3 იყო, სწორედ უფროსი ძმის უკან. ისააკ კიპრონო მე-13 ადგილით დაკმაყოფილდა, მაგრამ ერთ მარათონზე ერთი ოჯახის წევრთა მე-2, მე-3 და მე-13 ადგილები მაინც ისტორიაში შესატანი ამბავია.

ჯოზეფატ კიპრონოს გაუსწრო მხოლოდ საფრანგეთის უცხოურ ლეგიონში მომსახურე დრის ელ ჰიმერმა. ძირით არაბმა კენიელს ოციოდე მეტრი მოუგო და თავის სამოყვარულო კარიერაში პირველად გაიმარჯვა. ელ ჰიმერი მაინცდამაინც მომარათონე არ არის, ადრე კროსში და 10 ათას მეტრზე ილვწოდა, ვერ ვიტყვით, რომ ნაყოფიერად: ოსტენდეში, კროსის მსოფლიოს ჩემპიონატზე მე-6 ადგილი დაიკავა, ედმონტონის მსოფლიოს პირველობაზე 10 ათასი მეტრი მეთორმეტემ დაასრულა. ამ პიროვნებაზე კიდევ ის ვიცით, რომ ცნობილი ჰიშამ ელ გერუჯის ვარჯიშის ამხანაგი და, შეიძლება ითქვას, მეგობარიც იყო, რადგან წვრთნის პროცესში ზიარი ოთახი ჰქონდათ. მერე მაროკო დატოვა და საფრანგეთის მოქალაქეა.

**დავით გულუა**

**1. დრის ელ ჰიმერი (საფრანგეთი) 2:07.02;**
**2. ჯოზეფატ კიპრონო (კენია) 2:07.06;**
**3. ლუკ კიბეტი (კენია) 2:10.18**


**შიტორიუ კარატე-დო კოფუკანის კლუბი „სოდანი"**

**აცხადებს გოგონებისა და ვაჟების მიღებას 7-დან 16 წლამდე.**

**ვარჯიშებს გაუძღვებიან მაღალკვალიფიციური,** I და III დანის ინსტრუქტორები. ტარდება შეჯიბრებები საქართველოშიც და უცხოეთშიც, ასევე ეწყობა ქამრის (ხარისხის) მისანიჭებელი გამოცდები და გაიცემა სერთიფიკატი.
ამ კლუბში გაიზარდნენ მსოფლიო და ევროპის პრიზიორები და საქართველოს მრავალი გზის ჩემპიონები. ყოველ წელს თბილისში ჩამოდის იაპონიის კარატე-დო კოფუკანის ფედერაციის პრეზიდენტი, VII დანის მფლობელი **კოჯი ტომიამა** რომელიც ატარებს სემინარებს და გამოცდებს.



**გთხოვთ, მობრძანდით**

**ვარჯიშები ტარდება:**

**მე-60 საშუალო სკოლაში**

**ორშაბათს, ხუთშაბათს** საღამოს 18 - 20, საათი **შაბათს** 13 - 15 საათი.

მეტრო **ელექტრო დეპოსთან** ტრიკოტაჟის ფაბრიკის ტერიტორიაზე

**ორშაბათი, ოთხშაბათი პარასკევი** საღამოს 16 - 18 საათი

ცნობებისათვის დარეკეთ 69-78-55 **მალხაზ ჭუმბურიძე**

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი



REUTERS სენტ ლუისიდან

სენტ ლუისი — კალგარი. სტუმართა მეკარე რომან ტურეკმა კიტ ტკაჩუკს გატანა არ დაანება

# ტურეკს დატვირთვა მოუხდა

22 ოქტომბერი

**რეინჯერსი 1:5 სან ხოსე (0:2 1:1 0:2)**

**0:1 ტორნტონი 4(2), 0:2 სტიუარტი 10(2), 1:2 ლიჩი 37(4), 1:3 დამფუსი 40(5), 1:4 მარლო 43(1), 1:5 დამფუსი 57(6)**

**სენტ ლუისი 2:3 კალგარი (0:1 2:1 0:1)**

**0:1 კონროი 7(3), 1:1 მაიერსი 24(1), 2:1 დემიტრა 29(7), 2:2 ნიკოლი 36(2), 2:3 ლოური 50(3)**

**ედმონტონი 2:4 ნეშვილი (0:1 2:1 0:2)**

**0:1 მარტნელი 14(3), 1:1 კარტერი 25(7), 2:1 ლარაქი 29(2), 2:2 უოკერი 39(2), 2:3 ორზაგი 50(3), 2:4 ტიმონენი 53(1)**

ალბათ, რომან ტურეკიც იზიარებს მეკარეთა უმრავლესობის აზრს, რომ უმჯობესია, თამაში ხშირად იყო ჩართული, ვიდრე იშვიათ დარტყმებს იგერიებდე და კარში უმრავად იდგე. მაგრამ დალასსა და სენტ ლუისში ჩეხ გოლკიპერს თავის გამოჩენის საშუალება არ ჰქონდა, რადგან ამ გუნდებს საუკეთესო უკანა ხაზი ჰყავთ. სხვა საქმეა კალგარი. ამ კლუბში წლეულს გადასულ ტურეკს ახლა გაცილებით მეტი სამუშაო აქვს და იქნებ სწორედ ამის გამოც ათამაშდა ისე, როგორც მისგან ელოდნენ. ასე იყო მისი ამჟამინდელი და ყოფილი გუნდების შეხვედრაშიც.

მიუხედავად იმისა, რომ სენტლუისელთათვის მესამე მატჩი იყო ბოლო ოთხი დღის განმავლობაში (თანაც წინა ორში ოვერტაიმი იყო), მთლიანობაში მათ უფრო იაქტიურეს, ვიდრე კალგარელებმა. დარტყმების თანაფარდობამ, 28:18, ამჯერად რეალურად აჩვენა ის, რაც ყინულზე ხდებოდა. „ბლუზმენებს" სამივე პერიოდში ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ, განსაკუთრებით მეხამე მესამედის ბოლო წუთებზე მოინდომეს, როცა პავოლ დემიტრას და დუგ უეიტს გათანაბრების კარგი შანსები ჰქონდათ, მაგრამ ტურეკმა არც ერთი აზეირა, უეიტს კი აუღებელი აუღო. მან აშკარად დაჩაგრა სენტლუისელთა მეკარე ფრედ ბრეტუეიტი, რომელიც სწორედ ტურეკზე გაცვალეს. განსაკუთრებით დასანანი მესამე გოლი იყო, რომელიც რიკოშეტის შემდეგ გავიდა, მით უფრო, რომ მასპინძლები სტუმრებზე გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ. ასე იყო თუ ისე, კალგარიმ მოგებების სერია ოთხ მატჩამდე გაზარდა, ტურეკმა კი, რომელმაც „ალების" ღირსება უკლებლივ ყველა, 8 შეხვედრაში დაიცვა, ჯერჯერობით მხოლოდ 9 შაიბა გაუშვა.

რას უნდა ელოდე გუნდისგან, რომლის კაპიტანმაც ორმოც წელს მიუკაკუნა, ერთ ლიდერს შვიდჯერ მოსვლია ტვინის შერყევა, მეორე გაურკვეველი მიზეზების გამო ნახევარ სეზონს აცდენს და არც დაცვა უვარგა? რეინჯერსს ვგულისხმობთ. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გუნდი არასტაბილურად ასპარეზობს. ნიუიორკელებმა ატლანტასთან ჯიგრიან თამაშს ორი უნიათოდ ჩატარებული მატჩი მიაყოლეს და ამჯერად შინ სან ხოსესთან სამარცხვინოდ წააგეს. ისინი ვერც იმით გაიმართლებენ თავს, რომ კალიფორნიელთა მეკარე ევგენი ნაბოკოვი (31 მოგერიება) შეუდარებელი იყო. სანხოსელმა ვენსან დამფუსმა ზედიზედ მეორე დუბლი მიითვალა.

### საშველ დარიგიანი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | **ჩრდილო აღმოსავლეთი** | | | | |
| ბოსტონი | 8 | 4 | 2 | 0 | 2 | 20:14 | 10 |
| ბუფალო | 9 | 4 | 1 | 1 | 3 | 23:22 | 10 |
| მონრეალი | 8 | 4 | 1 | 0 | 3 | 20:18 | 9 |
| ტორონტო | 8 | 4 | 1 | 0 | 3 | 28:25 | 9 |
| ოტავა | 9 | 3 | 1 | 0 | 5 | 25:28 | 7 |
| | | | **ატლანტიკა** | | | | |
| აილენდერსი | 8 | 6 | 1 | 1 | 0 | 30:17 | 14 |
| რეინჯერსი | 9 | 4 | 1 | 0 | 4 | 23:31 | 9 |
| ფილადელფია | 8 | 3 | 3 | 0 | 2 | 27:20 | 9 |
| ნიუ ჯერსი | 6 | 2 | 0 | 1 | 3 | 18:22 | 5 |
| პიტსბურგი | 7 | 2 | 0 | 1 | 4 | 16:21 | 5 |
| | | | **სამხრეთ აღმოსავლეთი** | | | | |
| კაროლინა | 8 | 4 | 0 | 1 | 3 | 18:19 | 9 |
| ვაშინგტონი | 8 | 4 | 0 | 0 | 4 | 24:23 | 8 |
| ტამპა | 7 | 3 | 0 | 0 | 4 | 15:18 | 6 |
| ატლანტა | 6 | 1 | 1 | 2 | 2 | 14:19 | 5 |
| ფლორიდა | 8 | 1 | 1 | 0 | 6 | 14:26 | 3 |
| | | | **ცენტრი** | | | | |
| დეტროიტი | 8 | 7 | 0 | 0 | 1 | 29:21 | 14 |
| ჩიკაგო | 9 | 4 | 2 | 0 | 3 | 25:24 | 10 |
| სენტ ლუისი | 8 | 3 | 3 | 0 | 2 | 24:21 | 9 |
| ნეშვილი | 8 | 2 | 2 | 0 | 4 | 18:22 | 6 |
| კოლუმბუსი | 8 | 1 | 4 | 0 | 3 | 17:23 | 6 |
| | | | **ჩრდილო დასავლეთი** | | | | |
| კალგარი | 9 | 7 | 0 | 1 | 1 | 24:12 | 15 |
| ედმონტონი | 10 | 6 | 1 | 0 | 3 | 32:23 | 13 |
| მინესოტა | 7 | 3 | 3 | 0 | 1 | 20:17 | 10 |
| კოლორადო | 8 | 4 | 0 | 0 | 4 | 21:23 | 8 |
| ვანკუვერი | 9 | 2 | 1 | 0 | 6 | 27:31 | 5 |
| | | | **წყნარი ოკეანე** | | | | |
| სან ხოსე | 8 | 3 | 3 | 1 | 1 | 21:21 | 10 |
| დალასი | 8 | 3 | 2 | 1 | 2 | 17:18 | 9 |
| ფინიქსი | 8 | 3 | 2 | 0 | 3 | 18:20 | 8 |
| ანაჰაიმი | 9 | 3 | 1 | 0 | 5 | 18:26 | 7 |
| ლოს ანჯელესი | 8 | 2 | 1 | 1 | 4 | 20:21 | 6 |

## კვირის მოთამაშე

### პატრიკ ელიაში (ნიუ ჯერსი)



**უნიათო** სტარტის შემდეგ ნიუ ჯერსიმ, როგორც იქნა, ზედიზედ ორჯერ მოიგო. გამოცოცხლდნენ გუნდის ლიდერებიც. კვლავ გაიბრწყინა ელიაში — არნოტი — სიკორამ პირველმა სამეულმა. მათ სან ხოსესთან (6:1) 5 გოლი და 7 პასი მიითვალეს, ხოლო პატრიკ ელიაშმა, რომელსაც პირველ ოთხ მატჩში თავი არაფრით გამოუჩენია, ჰეთ თრიქი და 2 პასი გააზერზა. ოტავას (3:2) ძლევაშიც გოლით და პასით მან შეიტანა ყველაზე დიდი წვლილი. მანამდე ჩეხმა რეინჯერსთან წაგებული შეხვედრაში პასი გააკეთა, რის წყალობითაც სამ მატჩში 4 გოლი და 4 პასი მოუგროვდა.

ყოველივე ამან საკსებით იკმარა საიმისოდ, რომ ელიაში კვირას რჩეული (კარიერაში მესამედ) გამხდარიყო, მით უმეტეს, რომ სხვა კონკურენტები საგრძნობლად ჩამოიტოვა. ღღესდღეობით იგი 11 (4+7) ქულით საუკეთესოა თავის გუნდში. აღსანიშნავია, რომ ელიაში ერთ-ერთია იმ რვა ჰოკეისტისგან, რომლებიც უკვე მიიწვიეს ჩეხეთის ოლიმპიურ ნაკრებში.

**საუკეთესო ექვსეული. 15-21 ოქტომბერი**

*კრის ოსგუდი (აილენდერსი, 1); რომან ჰამრლიკი (აილენდერსი, 1) — ბრაიან რაფალსკი (ნიუ ჯერსი, 1); პატრიკ ელიაში (ნიუ ჯერსი, 1) — ენსონ კარტერი (ედმონტონი, 1) — დუგ უეიტი (სენტ ლუისი, 1)*



## მსოფლიოს თასის მეათე ეტაპი

(ლომბარდიის ტური, ვარეზე-ბერგამო, 258 კმ)

# შარშანწინდელიც კი [illegible]

## წვიმიან-ნისლიანი შემოდგომის კლასიკი



დანილო დი ლუკა ლომბარდიელ ლამაზმანებთან

გასულ შაბათს დანილო დი ლუკამ იტალიურ ველოსპორტს ღიმილი დაუბრუნა. „კანტინა ტოლოს" ახალგაზრდა მრბოლმა საფინალო სპრინტში თანამემამულე ჯულიანო ფიგუერასს აჯობა და რიგით 95-ე „ლომბარდიის ტურში" გაიმარჯვა. მესამე ადგილზე ჰოლანდიელი მიკაელ ბოგერდი გავიდა, მეოთხე კი ამ სამეულის მიერ ფინიშამდე რამდენიმე კილომეტრით ადრე ჩამოტოვებული ფრანგი რიშარ ვირანკი იყო.

რაკი „ლომბარდიის ტური" მსოფლიოს თასის მეათე და უკანასკნელი ეტაპიც იყო, თავიდანვე ვთქვათ, რომ საერთო ჩათვლაში ჰოლანდიელმა ერიკ დეკერმა დაიკავა პირველი ადგილი და ჯილდოდ ბროლის თასიც მიიღო, რომელსაც სურათზე ხედავთ.

დავუბრუნდეთ თავად რბოლას. დანილო დი ლუკამ 1999 წლის გაკვეთილი გაითვალისწინა. მაშინ 23 წლის მრბოლს მირკო სელესტინომ ცხვირწინ ააცალა გამარჯვება. ამჯერად კი შემოდგომის კლასიკი დი ლუკამ აწაპნა ფიგუერასს. ამ რბოლამ „დი კაპრიოდ" წოდებული იტალიელის ნიჭის დადასტურების გარდა, აპენინური ველოსპორტის გამოღვიძების, უფრო სწორად, მისი კომიდან გამოსვლის შესახებაც გვამცნო, ყოველ შემთხვევაში იტალიური პრესა ასე წერს.

ვარეზედან ბერგამომდე 258 კილომეტრი პელოტონმა საზიზღარ ამინდში გაიარა. წვიმა, ნისლი... თუმცა ამის მიუხედავად, რამდენიმე სპორტსმენმა მაინც შეძლო შეტევის განხორციელება. ორიოდე ფუჭი იერიშის შემდეგ ერთი ჯგუფი დაწინაურდა, რომელშიც დი ლუკა, ბოგერდი, ფიგუერასი, ვირანკი, ბარტოლი, დეკერი, ბელი, ზბერგი, იაკშე და სიმონიც შედიოდნენ.

ამათგან ძალიან მალე ზემოთ ჩამოთვლილი ოთხეული და შვედი ნიკლას აქსელსონი გალიდერდნენ. მათ ფინიშამდე დაახლოებით 30 კილომეტრით ადრე, ბერბენოს აღმართზე მოახერხეს გაქცევა, თუმცა სკანდინაველი წაქცევის გამო მალე მოისაკლისეს. მერე დი ლუკამ ბერგამოს აღმართიან ქუჩებში კვლავ გაზარდა ტემპი, რამაც ვირანკის ჩამორჩენაც გამოიწვია. ფიგუერასმა და ბოგერდმა კი კომპანიონის დაწევა დაღმართზე, ფინიშამდე ერთი კილომეტრით ადრე შეძლეს.

სპრინტში ყველაზე მარჯვედ დი ლუკა გაისარჯა, რომელიც მომავალ სეზონში „საეკოს" ღირსებას დაიცავს. „ვფიქრობ, დღეს უძლიერესი ვიყავი, სპრინტში მცირედი შეცდომაც არ დამიშვია. შარშანწინიდან მახსოვდა, რომ ფინიშის ხაზისკენ ყურებას ძირს, ქვაფენილის ცქერა და სტაბილურობის შენარჩუნება სჯობს. არც ის დამვიწყებია, რომ ბოლო მოსახვევიდან პირველი უნდა გამოვსულიყავი. ჰოდა, მოვიგე კიდეც" — განაცხადა დანილო დი ლუკამ.

რაც შეეხება დეკერს, მან ფინიშს 4 წუთისა და 39 წამის დაგვიანებით უწია, მაგრამ ამით სულაც არ დამწუხრებულა.

**გაგი გურული**

1. დანილო დი ლუკა (იტალია, კანტინა ტოლო) 6სთ 38წთ 29 წმ
2. ჯულიანო ფიგუერასი (იტალია, პანარია) იგივე დრო
3. მიხაელ ბოგერდი (ჰოლანდია, რაბობანკი) +1წმ
4. რიშარ ვირანკი (საფრანგეთი, დომო) +4
5. მიკელე ბარტოლი (იტალია, ფასა ბორტოლო) +1წთ 25

**საერთო ჩათვლა**

1. ერიკ დეკერი (ჰოლანდია, რაბობანკი) 331 ქულა
2. ერიკ ზაბელი (გერმანია, ტელეკომი) 250
3. რომანს ვაინშტეინსი (ლატვია, დომო) 229
4. პაოლო ბეტინი (იტალია, მაპეი) 201
5. დავიდე რებელინი (იტალია, ლიკიგასი) 170



ერიკ დეკერმა კუთვნილი ბროლის თასი თავისი ქვეყნის სპორტის მინისტრის მარგო ფლიგენტჰარტისგან მიიღო

# ქუთაისური ტური

**სამ დღეს** გაგრძელდა რესპუბლიკური ტურნირი საგზატკეცილო ველოსპორტში, რომლის ორგანიზატორებიც ქუთაისის სპორტკომიტეტი და იმერეთის სამხარეო ველოსპორტის ფედერაცია იყვნენ. შეჯიბრებაში მასპინძლებთან ერთად თბილისის, ლაგოდეხის და აჭარის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

დაყოფილი სტარტი 15 კილომეტრზე მარშრუტით ქუთაისი — წყალტუბო — ქუთაისი ქობულეთელმა ბესო მიქელაძემ მოიგო. ჯგუფურ რბოლაში 75 კილომეტრზე (ქუთაისი — ზესტაფონი — ქუთაისი) თბილისელმა გიორგი ნადირაძემ იმარჯვა. კრიტერიუმში საუკეთესო ლაგოდეხელი რამაზ მანაგაძე გახლდათ. გუნდურ ჩათვლაში პირველობა და შეჯიბრების მთავარი პრიზი ქუთაისელ მრბოლებს ერგო.

როგორც ტურნირის ორგანიზატორებმა განაცხადეს, გაისიდან შეჯიბრება საერთაშორისო სტატუსს მიიღებს.

**იუზა ძაძიტაძე ქუთაისიდან**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში. მეთორმეტე ეტაპი (კორსიკა)

# პეჟოს დუბლი, სიტროენს არაფერი



REUTERS ფოტო

„სიტროენმა“ მშობლიურ გზებზე ხესუს პურასს არ უმტყუნა

**საფრანგეთში,** კუნძულ კორსიკაზე ზუსტად განმეორდა წინა, იტალიური ეტაპის სიუჟეტი: ჩემპიონობის უმთავრესი კანდიდატები — კოლინ მაკრეი და ტომი მაკინენი კვლავაც უქულოდ დარჩნენ, ხოლო მოწინავე ხუთეულიდან ისევ მხოლოდ ერთმა (ამჯერად რიჩარდ ბარნსმა) შეძლო ქულების მიღება.

აღსანიშნავია, რომ ეს ოთხგზის ჩემპიონ მაკინენის ზედიზედ მეოთხე ნულოვანი შედეგია. ექსლიდერმა ფინელმა ისე გაირთულა ოთხი რბოლის წინ საკმაოდ უზრუნველი სატურნირო მდგომარეობა, რომ ადვილი შესაძლებელია, მორიგი ხელმოცარვის შემთხვევაში ვალამდე მიულოცოს კონკურენტს ტიტულის მოპოვება. მით უმეტეს, რომ მაკინენს დარჩენილ ორ ეტაპზე თავისი ერთგული, ექსტრა კლასის შტურმან რისტო მანისენმაკის ნაცვლად მეგზურად ნაკლებ გამოცდილი თანამემამულე ტიმო ჰანტუნენი ეყოლება.

მიზეზი გახლავთ ფინელთა ავარია, რომელიც კინაღამ ტრაგიკულად დასრულდა. პირველივე დღეს (სულ კი მოასპარეზეებს სამ დღეში 855 კილომეტრი უნდა გაევლოთ, აქედან 381 ჩქაროსნულ უბნებზე მოდიოდა) მორიგი დაფარული მოსახვევის წინ პილოტის მცირე უზუსტობის გამო „მიცუბიში“ ჯერ ბეტონის ბარიერს ეძგერა, მერე კლდეს, ამოყირავდა და ასე საზურავზე ხოხვის შემდეგ, როგორც იქნა, გაჩერდა თითქმის 40-მეტრიანი ხევის პირას. გასაკვირია, რატომ არ იყო იმ სახიფათო მოსახვევში დამცავი ზღუდე. მაკინენი ადვილად გამოძვრა დალეწილი მანქანიდან, დაშავებული თანამძღოლის გამოსაყვანად კი მაშველებს კარგა ხანს მოუხდათ წვალება. მანისენმაკი ვერტმფრენით შემთხვევის ადგილიდან ჰოსპიტალში გააქანეს. მას ზურგი ისე დაუზიანდა, რომ საოპერაციო შეიქნა.

კორსიკის ვიწრო, მიხვეულ-მოხვეულ და მთაგორიან, თუმც მოასფალტებულ გზებზე სხვაც არაერთი შემთხვევა მოხდა. სხვადასხვა მიზეზით ფინიშამდე ვერ მივიდა 44 მრბოლი, მათ შორის შარშანდელი ჩემპიონი მარკუს გრონჰოლმი და საპრიზო ადგილის პრეტენდენტი კარლოს საინსი. როგორც მოსალოდნელი იყო, გამარჯვებისთვის უმთავრესი ბრძოლა ასფალტის „სპეციალისტებს“ — ხესუს პურასსა და საფრანგეთის წინა რალის მომგებ ჟილ პანიზის შორის გაჩაღდა. 16-დან პირველ სპეცმონაკვეთზე საუკეთესო იყო ძმები პანიზების ეკიპაჟი, მომდევნო კი ხესუს პურასმა და მარკ მარტიმ მათზე 11 წამით სწრაფად გაიქროლეს და რვაწამიანი სხვაობით დაწინაურდნენ. ესპანელებმა კიდევ შვიდ უბანზე აჯობეს ყველას და ბოლომდე აღარც დაუთმიათ ლიდერობა. პურასმა თითქმის ათწლიან კარიერაში პირველი გამარჯვება იზეიმა, რამაც 38 წლის კაცი ბავშვივით ააცრემლა.

ბარნსს დახმარების ხელი გაუწოდა პეტერ სოლბერგმა, რომელმაც ბევრად მეტქულიანი თანაგუნდელი ბოლო მონაკვეთზე წინ გაუშვა, თუმცა ამისთვის მსაჯებისგან ორწუთიანი ჯარიმა დაიმსახურა. მთავარი ისაა, რომ ასე ნაშოვნი ქულით ბარნსმა საერთო ჩათვლაში მესამე პოზიცია დაიბრუნა და საჩემპიონო შანსსაც ინარჩუნებს.

ბოლოს გუნდურ ვითარებაზე. პურასის მოგებით „სიტროენს“ არაფერი შემატებია, რადგან ესპანელს შედეგები მხოლოდ პირად ჩათვლაში ერიცხება. ასე რომ, კორსიკაში პირველ-მეორე ადგილის 16 ქულა პანიზის და ორიოლს მიუთვალეს. ამით „პეჟოს“ 76 ქულა დაუგროვდა და საგრძნობლად ჩამოიტოვა „მიცუბიში“ (67). წინ კი 83 ქულით კვლავინდებურად „ფორდია“.

**გია ახალაძე**

| რბოლის შედეგები | |
|---|---|
| 1. ხესუს პურასი (ესპანეთი, სიტროენი) | 3სთ; 58.35,5 |
| 2. ჟილ პანიზი (საფრანგეთი, პეჟო) | ჩამორჩა 17,5 |
| 3. დიდიე ორიოლი (საფრანგეთი, პეჟო) | 1.11,9 |
| 4. რიჩარდ ბარნსი (დიდი ბრიტანეთი, სუბარუ) | 4.53,1 |
| 5. პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) | 4.53,9 |
| 6. მარკო მარტინი (ესტონეთი, სუბარუ) | 5.21,6 |

**საერთო ჩათვლა**

1. კოლინ მაკრეი (დიდი ბრიტანეთი, ფორდი) 40 ქულა; 2. ტომი მაკინენი (ფინეთი, მიცუბიში) 40; 3. რიჩარდ ბარნსი 34; 4. კარლოს საინსი (ესპანეთი, ფორდი) 33; 5. ჰარი როვანპერა (ფინეთი, პეჟო) 27; 6. ჟილ პანიზი 22; 7. დიდიე ორიოლი 19; 8. მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, პეჟო) 16; 9. ფრანსუა დელაკური (საფრანგეთი, ფორდი) 15; 10. პეტერ სოლბერგი 11; 11. ხესუს პურასი 10.


რესტორანი მზიანი ღამე





განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით

დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3

(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)

ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74

მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით




იუდით პოლგარი



ლუკ ვანველი

# ვეტერანს დენთი გამოელია

**ჰოლანდიური** ჰოგევენის ოთხთა ტურნირზე პირველი წრის შემდეგ 3-დან 2,5 ქულით ვიქტორ კორჩნოი ლიდერობდა. მართლა მოქმედ მოჭადრაკეთაგან უხუცესზე ერთ-ერთ წინა „სარბიელში“ მრავალი საქებარი სიტყვა დაიწერა, რადგან მე-16 კატეგორიის ტურნირი ძლიერი შემადგენლობისა გახლდათ და იუდით პოლგარის და ლუკ ვან ველის გასწრება ხშირად რეიტინგის პირველი ათეულის დიდოსტატებს უჭირთ, არამცთუ 70-ს გადაცილებულ ბებერ მაესტროს.

ჩვენი ქების ბრალი არ იყო, რომ კორჩნოიმ მეორე წრეში წააგო იმდენივე პარტია, რამდენიც პირველში მოიგო. მე-4 ტურში მაესტრო შეხვდა ბოლო ადგილზე მავალ ლაზარო ბრუზონს და დამარცხდა. უნდა ითქვას, რომ ეს იყო ახალგაზრდა კუბელის ერთადერთი გამარჯვება, შემდგომ ტურებში მას ჯერ შავებით პოლგარმა მოუგო, მერე თეთრებით — ჰოლანდიის ჩემპიონმა ვან ველიმ. იმავე ვან ველიმ მე-4 ტურში თეთრებით წააგო პოლგართან, მე-5-ში მოუგო კორჩნოის და მერე ბრუზონსაც. როგორც ამჩნევთ, „მოგება-წაგებას“ მოჭარბებულად ვახსენებთ და ეს იმის ნიშანია, რომ ჰოგევენის ტურნირი 21-ე საუკუნის სტანდარტისა არ გახლდათ, მასში ყაიმთა წილმა უჩვეულოდ მცირე, 42 პროცენტი შეადგინა, ანუ ნახევარზე ნაკლები.

ტურნირი კი მოიგეს მათ, რომლებსაც დაწყებისას ყველაზე ნაკლები „კუშები“ ჰქონდათ, ანუ პოლგარმა და ვან ველიმ.

**დავით გულუა**

**საბოლოო ვითარება**

1-2. იუდით პოლგარი (უნგრეთი), ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) 3,5; 3. ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია) 3; 4. ლაზარო ბრუზონი (კუბა)

მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი. ერევანი (სომხეთი)

# რუსლანმა რუსები ხახამშრალი დატოვა

**მსოფლიოს** გუნდური ჩემპიონატი ერევანში ისე არ დამთავრდა, მასპინძლებს რომ უნდოდათ და ეგონათ. თუნდაც გერმანიასთან წაგების შემდეგ სომხეთის ნაკრები რჩებოდა ლიდერად და ხელეწიფებოდა ამგვარი სტატუს-კვოს შენარჩუნება, მაგრამ მე-7 ტურში სომხებმა ვერ მოუგეს უზბეკეთს, მერე სულაც წააგეს უკრაინასთან და უნგრეთთან და საბოლოოდ მესამე ადგილზე გავიდნენ. ექსპერტთა აზრით, სომეხთა პრობლემა ახალგაზრდების უნდობლობაშია. ხნიერებიდან, პრინციპში, ვლადიმერ აკოფიანს და რაფაელ ვაჰანიანს არა უშავდათ, მაგრამ სმბატ ლპუტიანმა სამი პარტია წააგო, ულონო ჩანდა აშოტ ანასტასიანი, როცა თითქმის არ მიეცა თამაშის შანსი იუნიორ კარენ არსიანს, ლევონ არონიანი კი საერთოდ დარბაზიდან უცქერდა ჩემპიონატს. ის სომხეთის ვიცე-ჩემპიონია.

მე-7 ტურში რუსეთმა კუბას მოუგო და პირველ ადგილზე გაიჭრა, რადგან უკრაინა დაუზავდა სუსტ მაკედონიას. ახლა რუსები სომხებს ნახევარ ქულას უგებდნენ, უკრაინელებს მთელი ქულით უსწრებდნენ და თითქოს ყველაფერი თავის ადგილზე დადგა, ფავორიტმა რუსეთმა გამარჯვების მომტანი სპრინტი დაიწყო, მაგრამ იგი უდღეური გამოდგა. მე-8 ტურში პიოტრ სვიდლერმა, ალექსეი დრეევმა, ალექსანდრ გრიშჩუკმა და სერგეი რუბლიოვსკიმ უზბეკებს ერთი პარტია ვერ მოუგეს, თუმცა რეიტინგი მათზე 100-100 ქულით მეტი აქვთ (რუსტამ კაზიმჯანოვი არ ითვლება), ამან კი ბოლო ტურს დიდი ინტრიგა მიანიჭა, რადგან უკრაინამ სომხეთი 2,5:1,5 დაამარცხა, რუსეთს ნახევარ ქულამდე დაუახლოვდა და ბოლო ტურშიც სლავები ერთმანეთს ხვდებოდნენ.

სომხეთის დამარცხება 18 წლის რუსლან პონომარიოვმა გამოჭედა. უკრაინის პირველი დაფა ვასილი ივანჩუკი ერევანში ხასიათზე ვერ იყო და ძირითადად მშვიდობას ამჯობინებდა. იმ დღესაც ივანჩუკი ადვილად დაუზავდა აკოფიანს, ყაიმი იყო ორ სხვა პარტიაშიც, მხოლოდ პონომარიოვმა მოახერხა, ვაჰანიანისთვის ქულა გამოეგლიჯა. ამ ყმაწვილს მეორე დღესაც გმირობა ელოდა.



რუსლან პონომარიოვმა უკრაინა მსოფლიოს ჩემპიონად აქცია

რუსებს ფრეც ჰყოფნიდათ. თავიანთი საქმე შეასრულეს სვიდლერმა, გრიშჩუკმა და საკაევმა, ხოლო დრეევმა რატომღაც მოსაგებად ითამაშა პონომარიოვთან, რაზეც უკრაინელმა უპასუხა მოჭრილი დარტყმით და ერევანში მიმდინარე შეჯიბრს ეფექტურად დაუსვა წერტილი: „ყოვტო-ბლაკიტნიკები“ მსოფლიოს ჩემპიონები არიან.

**დავით გულუა**

**საბოლოო ვითარება**

1. უკრაინა 21,5; 2. რუსეთი 21; 3. სომხეთი 20; 4. გერმანია 18,5; 5. უნგრეთი 16,5; 6. უზბეკეთი 15,5; 7. კუბა 14,5; 8. მაკედონია 9,5; 9. ირანი 7

# მანტილიამ ლაბაძე ივანიშევიჩს აარიდა

**პეტერბურგის** ღია პირველობის საკვალიფიკაციო ეტაპზე სამი წრის გავლის შემდეგ ტურნირის ძირითად ბადეში მოხვედრილმა ირაკლი ლაბაძემ ასპარეზობა მეთექვსმეტედფინალშივე შეწყვიტა. გუშინ ქართველი ჩოგბურთელი მსოფლიოს 45-ე ჩოგანს, ესპანელ ფელიქს მანტილიას შეხვდა და 4:6, 6:7 (3:7) წააგო. შეხვედრა ზუსტად საათნახევარი გაგრძელდა. ლაბაძეში ცხრა ეისი ჩაუგდო მანტილიას, სანაცვლოდ კი ორი გაუშვა. სამაგიეროდ ქართველმა შვიდი ორმაგი შეცდომა დაუშვა ესპანელის ორის წინააღმდეგ. ირაკლიმ ორჯერ დათმო საკუთარი მოწოდება, მეტოქემ — ერთხელ.

მანტილია მერვედფინალში გავიდა, სადაც წლევანდელი უიმბლდონის მომგები, პეტერბურგში „უაილდ ქარდით" მიწვეული გორან ივანიშევიჩი ელის. ხორვატმა ჩოგბურთელმა მეთექვსმეტედფინალში ჩილელი ნიკოლას მასუ 6:2, 6:3 დაამარცხა. ლაბაძე ხელცარიელი ტოვებს პეტერბურგს, რაც მის ჯიბეზე არ ითქმის: ძირითად ბადეში მოხვედრისა და მეთექვსმეტედფინალში თამაშისთვის ირაკლის 800-ათასდოლარიანი საპრიზო ფონდიდან 7700 დოლარი ერგო.

გუშინვე ლაბაძე რუს მარატ საფინთან დუეტში წყვილთა ასპარეზობაში ჩაერთო. მათი მეტოქე ჩეხების, პეტრ ლუხას და რადეკ სტეპანეკის წყვილი იყო. მატჩი დამთავრდა 7:6, 6:4 ლაბაძე-საფინის სასარგებლოდ. მომდევნო წრეში ისინი ჩეხი მარტინ დამის და გერმანელი დავიდ პრინოშილის წყვილს შეხვდებიან.

# ნეფე-დედოფალს გაუმარჯოს!

**ამ ორშაბათს** ლას ვეგასში კარგა ხნის საყვარლებმა — ანდრე აგასიმ და შტეფანი გრაფმა ერთმანეთს სამარადჟამო სიყვარული შეჰფიცეს და თითებზე ბრილიანტის ბეჭდები წამოაცვეს, რასაც, რაღა თქმა უნდა, ცხელი კოცნა და დამსწრე (მცირერიცხოვანი) საზოგადოების ტაში მოჰყვა. აგასის და გრაფის ორწლიანი ურთიერთობა ცოლქმრობით დასრულდა, უფრო ზუსტად, ყველაფერი ახლა იწყება. ამ ბოლო ათწლეულში სანოგბურთო სამყაროს მეფე-დედოფლის ქორწინების ცერემონიალს თითქოს ლიდ აჟიოტაჟში უნდა ჩაევლო, მაგრამ ანდრემ და შტეფიმ ხმაური არ ისურვეს და ლამის გასაიდუმლოებულ ვითარებაში მოაწერეს ხელი. ჟურნალისტებს კი რას გამოაპარებ, მალე ეს ამბავი მთელ ქვეყანას მოსდეს და ამით ყველა გაალოცეს.



ანდრე აგასი და შტეფანი გრაფი-აგასისა

წყვილის ტკბილ ურთიერთობებზე ცხადია, ყველამ უწყოდა, თუმცა ქორწინებას არავინ ელოდა, რადგან ამ დეკემბერს გრაფი აგასისგან ვაჟს ელოდება და თითქოს ხელის მოსაწერად სად ეცალა, მაგრამ მჭიდროგნე შეყვარებულებმა მაინც დააჩქარეს ეს ფორმალობა. „ბედნიერები ვართ, ჩვენი ცხოვრების წიგნში ახალი თავი იწყება. ცერემონიამაც ისე მშვიდად ჩაიარა, როგორც გვინდოდა".

რაც შეეხება ქორწილს, არავინ იცის, სად მოეწყობა იგი. მავანნი ფიქრობენ, რომ ახალშექმნილი ოჯახი მისალოცად მისულ სტუმრებს ახალ ვილაში დაუხვდება, რომელიც ამას წინათ 23 მილიონ დოლარად იყიდეს სან ფრანცისკოში, წყნარი ოკეანის სანაპიროზე. ისე, დიდი სტუმრიანობა არაა მოსალოდნელი, რადგან ბატონ და ქალბატონ აგასებს სიმყუდროვე ურჩევნიათ.



# ბრინჯაოს კადეტები

**17-21 ოქტომბერს** აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში კადეტ მოკრივეთა მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართა. ტურნირმა 21 ქვეყანას უმასპინძლა. ამ შეჯიბრზე საქართველოს ნაკრებიც მონაწილეობდა, რომელიც თორმეტი მოკრივითი ესტუმრა ბაქოს და იქიდან სამი ბრინჯაოს მედლით დაბრუნდა.

ჩვენი კადეტების მთავარი მწვრთნელის ზაურ ანთიას თქმით, იმ პირობების გათვალისწინებით, რაც ჭაბუკ მოკრივეებს ჰქონდათ მოსამზადებლად, შედეგი ნორმალურია და ბიჭების გარჯით ფრიად კმაყოფილია.

ტურნირამდე კადეტები ჯერ გიორგი კანდელაკმა მიიპატიჟა ვარიანში, ორკვირიანი შეკრება ჩაუტარა თავის კრივის სკოლაში. მერე ნაკრებმა თბილისში გადმოინაცვლა და ჩემპიონატისთვის მზადება ჯემალ ცერცვაძის სახელობის სპორტულ ბაზაზე განაგრძო. იქ ჩვენს მოკრივეებს კარგი პირობები ჰ ქონდათ ნაყოფიერი ვარჯიშისთვის. ზაურ ანთიას შეგირდთა დამოძღვრაში ვასილ ცერცვაძე, ბადრი ყულუმბეგაშვილი და გელა სხირტლაძე შეეშველნენ.

ანთია დიდ იმედებს ამყარებდა ვარიანელ მიხეილ გოგებაშვილზე და ინგლისში წლეულს გამართული ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორ ფოთელ ლევან ლვამიჩავაზე, მაგრამ ორივე მოკრივემ ნაადრევად შეწყვიტა ასპარეზობა. უმედლოდ დაბრუნდნენ პერსპექტიული მოკრივეები— ძმები ლევან და დავით დონდუები, ისევე, როგორც კრივის ქუთაისური სკოლის აღსაზრდელები, ერეკლე ლიპარტელიანი და ზურაბ გაბუნია. ამის მიზეზი კი ჭაბუკების გამოუცდელობა და ამ დონის შეჯიბრებებზე მონაწილეობის პრაქტიკის უქონლობაა.

ბრინჯაოს სამი მედალი ქართულ ყულაბას გორელმა ვამეხ ტერალაშვილმა, თბილისელმა გიორგი ცერცვაძემ და სოფელ გამარჯვების მკვიდრმა თორნიკე ივლაშვილმა შემატეს. ტერალაშვილმა 63,5 კგ-მდე წონით კატეგორიაში იჩხუბა, ივლაშვილმა 67 კგ-მდე, ხოლო ცერცვაძემ — 71 კგ-მდე. საბოლოოდ საქართველოს ნაკრებმა მე-7 გუნდური ადგილი დაიკავა.

**ბაჩო ხვანიძე**


სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი

კარდიოექსპრესდიაგნოსტიკა

გულის დაავადებების თანამედროვე
სრულფასოვანი არაინვაზიური დიაგნოსტიკა

- კვალიფიციურ კარდიოლოგთა კონსულტაცია
- გულის ტრანსეზოფაგური და ტრანსთორაკალური ექოსკოპია, ფერადი დოპლერი, სტრესექოსკოპია
- ფიზიკური დატვირთვის ტესტი ტრედმილით
- ტრანსეზოფაგური ელექტროფიზიოლოგიური კვლევა და სტრეს-ტესტი
- გულის რიტმის 24-საათიანი მონიტორირება (ჰოლტერის მეთოდით)
- არტერიული წნევის 24-საათიანი მონიტორირება
- ელექტროკარდიოგრაფია
- ლაბორატორიული კვლევა
- ულტრათანამედროვე აპარატურა, მონაცემების კომპიუტერული დამუშავება

თბილისი, ვაჟა-ფშაველას 83/11 (III და IV კვარტალს შორის, №1 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის შენობა)

☎ 53-73-00; 95-00-33




# თეთრ ოლიმპიადამდე ერთსულოვნებაა

## ნორვეგიელები კი ჭოჭმანობენ

**ბოლო** დროს მსოფლიოში განვითარებული მოვლენების ფონზე სპორტის ზამთრის სახეობებში თეთრ ოლიმპიადამდე ერთსულოვნებაა.

სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის (ფის) ხელმძღვანელი ჯან ფრანკო კასპერი აცხადებს, რომ ოლიმპიადებმა ტერორიზმის წინაშე ქედი არ უნდა მოიხარონ. იმასაც ამბობს, 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიური თამაშები ტერორიზმის მსხვერპლად რომ არ იქცეს, ამისთვის მისი ვადებში ჩატარებაა საჭირო. მით უმეტეს, რომ სხვა არანაირი ალტერნატივა არ არსებობსო.

„ოლიმპიური თამაშები არის შუქურა ნორმალური ცხოვრების დასაბრუნებლად. მისი გაუქმება ტერორიზმის გამარჯვების ტოლფასი იქნება. ამ შემთხვევაში სპორტი სამუდამოდ წააგებს, ჩვენ კი ამას ვერ დავუშვებთ. უბრალოდ, შეუძლებელია ოლიმპიადის ერთი წლით გადავადება. ამ მოკლე დროში წარმოუდგენელია მასპინძლის შეცვლაც" — ყოველწლიურ წინასასეზონო ფორუმზე განაცხადა კასპერმა.

კასპერის აზრს, რომელიც ამავე დროს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრიცაა, იზიარებენ სათხილამურო სპორტის მოძმე — ციგისა და ბიათლონის ფედერაციათა ხელმძღვანელებიც, გერმანელი იოზეფ ფენდტი და ნორვეგიელი ანდერს ბესებერგი. თუმცა ამ უკანასკნელის თანამემამულე მოთხილამურეები სოლტ ლეიკ სიტიში წაუსვლელობას არ გამორიცხავენ. ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ იტყობინებოდა ტრონჰეიმში გამომავალი გაზეთი „ადრესეავისენი" და ამას იმით ხსნიდა, რომ სპორტსმენებს შესაძლო ტერორისტული აქტებით გამოწვეული ხიფათი და აშშ-ის მიერ ავღანეთში წამოწყებული ომი აფიქრებთ.

„ღლევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით აუცილებლობას არ წარმოადგენს აშშ-ში გამგზავრება. ჩემი აზრით, არასწორია, ომის მწარმოებელი ქვეყანა ოლიმპიურ თამაშებს მასპინძლობდეს" — გაზეთთან საუბარში კატეგორიული ჩანდა მოთხილამურე ჰილდე პედერსენი.

კრისტენ შელდალს კი ჯერაც ვერ გადაუწყვეტია, მიიღებს თუ არა მონაწილეობა ოლიმპიური თამაშების საზეიმო გახსნის ცერემონიალში, რადგან ეს უკანასკნელი, მისი აზრით, ტერორისტთათვის ერთობ მიმზიდველია, ამიტომაც ყველაფრის ზედმიწევნით აწონდაწონვა სურს. ერლინგ ივენეს აზრით, სპორტის პოლიტიკასთან დაკავშირების მცდელობა საკმაოდ სახიფათო მდგომარეობას ჰქმნის.

ასეა თუ ისე, ფრიად საჭოჭმანო სიტუაციის მიუხედავად, ნორვეგიელი მოთხილამურეები სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადის ბოიკოტს არ აპირებენ, ისევე როგორც ეს 1980 წელს მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისას გააკეთეს. სკანდინაველებს მიაჩნიათ, რომ მათი მაშინდელი ქმედება პოლიტიკური დემონსტრაცია იყო, დღესდღეობით კი სულ სხვა სურათია. თუმც მოთხილამურეები არც იმას გამორიცხავენ, რომ შესაძლოა ვინმემ პირადად იუაროს სოლტ ლეიკ სიტიში გამგზავრება.

# ცივ ალიასკას ცეცხლი პირველად გაათბობს

**აშშ-ს** არაერთხელ უმასპინძლია ოლიმპიური თამაშებისთვის, მაგრამ ჯერ არ ყოფილა, რომ ოლიმპიური ცეცხლი ალიასკას სწვეოდა. არადა, თუ ოლიმპიადების ერთ-ერთი უმთავრესი ატრიბუტის ლამის გარსაქვეყნო მოგზაურობებს გავითვალისწინებთ, იანკთა ასეთი უყურადღებობა გასაკვირიც კია. ახლა კი სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებს წინამორბედთა შეცდომის გამოსწორება განუზრახავთ. თანაც ისე, რომ ალიასკისთვის ოლიმპიური ცეცხლის მასპინძლობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაც იყოს. გარდა ამისა, იუტას შტატისკენ მიმავალ გზაზე, რომელიც ოლიმპიური თამაშების მასპინძელია, აშშ-ის ყველაზე ჩრდილოეთ შტატი საჩირაღდნო მოგზაურობის ერთ-ერთ ბოლო მონაკვეთადაც მოგვევლინება. საჩირაღდნო ესტაფეტა კი 1996 წლის ოლიმპიური თამაშების დედაქალაქიდან, ატლანტიდან 4 დეკემბერს აიღებს გეზს. ანტიკურ ოლიმპიაში დანთებულ ცეცხლს აშშ-ში თვითმფრინავით ჩაიტანენ, ხოლო იქამდე, ვიდრე სოლტ ლეიკ სიტის უმთავრეს სარბიელს ესტუმრება, მას ამ ქვეყნის ტერიტორიაზე 13,5 ათასი მილის გადალახვა მოუწევს. დისტანციის თითქმის მეხუთედს 11,5 ათასი მორბენალი დაფარავს, მათ შორის იქნებიან ცნობილი და ჩვეულებრივი ამერიკელები. ისინი ჩირაღდანს ხელიდან ხელში, სირბილ-სირბილით გადასცემენ ერთმანეთს. ატლანტიდან სოლტ ლეიკ სიტიში სამოგზაუროდ 65 დღეა საჭირო, ოლიმპიადა კი 8 თებერვალს აიღებს სტარტს.

სხვათა შორის, იმ რიგით ამერიკელთა შორის, ვინც ოლიმპიურ ჩირაღდანს ხელში დაიჭერს, არის 91 წლის ქალბატონი, ვინმე ჰელენ გინზბურგიც. მას ერთი ათეული ან ოცეული მილის გავლა განუზრახავს. გარდა ამისა, ორგანიზატორებს უყურადღებოდ არც 11 სექტემბრის ტერაქტების მსხვერპლთა ოჯახები დაუტოვებიათ. ამისთვის მათ საჩირაღდნო პროგრამის გეგმაც კი შეცვალეს, რის შედეგადაც დაზარალებულთა ოჯახის წევრებს ჩირაღდნის ტარების პატივი დასდეს. სიმბოლურია ისიც, რომ 25 დეკემბერს, შობის დღესასწაულზე, ოლიმპიური ცეცხლი ნიუ იორკში გაათევს ღამეს. ეს ხომ ის ქალაქია, რომელიც ყველაზე თავზარდამცემი ტრაგედიის მოწმე შეიქნა. რაც შეეხება აშშ-ის დედაქალაქს, ოლიმპიური ცეცხლი ვაშინგტონის ქუჩებს ოთხი დღით ადრე, 21 დეკემბერს გაანათებს. მართალია, ვაშინგტონი მნიშვნელოვანი ღონისძიებისთვის ჯერ არ ემზადება, მაგრამ ამისთვის წინ კიდევ ორი თვე აქვს. 29 დეკემბერს ოლიმპიური ცეცხლი 1980 წლის თეთრი ოლიმპიადის დედაქალაქ ლეიკ პლესიდსაც ეწვევა, ახალ წელს კი — ბუფალოს. ოლიმპიური ცეცხლი ყველაზე დიდ ხანს, ორ დღეს, 8-9 იანვარს სენტ ლუისში დაჰყოფს. მერე კი ოლიმპიურ სიმბოლოს ლოსანჯელესელები და სკვოველებიც შეეგებებიან. მოგეხსენებათ, ლოს ანჯელესსა და სკვო ველის სხვადასხვა დროს თავადაც უმასპინძლიათ ოლიმპიადებისთვის. ამის შემდეგ კი ალიასკაზე გადასვლის დროც დადგება. რაც შეეხება თავად ოლიმპიური თამაშების მასპინძელ შტატს, იუტას, იქ ოლიმპიური ჩირაღდანი მოგზაურობას 4 თებერვალს დაიწყებს, 8-ში კი დანიშნულების ადგილზე, მესამე ათასწლეულის პირველი ოლიმპიური თამაშების მასპინძელ სოლტ ლეიკ სიტიშიც ჩააღწევს.

აღსანიშნავია, რომ ამერიკის ყველა მასპინძელი ქალაქი თავისებურად ემზადება ამ საპატიო როლის შესასრულებლად. მაგალითად, ორლანდოელები აპირებდნენ, ოლიმპიური ცეცხლი ტბის შუაგულში, შადრევნის თავზე აღემართათ და ამის განსახორციელებლად უზარმაზარი ამწე ან თუნდაც შვეულმფრენი გამოეყენებინათ, მაგრამ როდესაც ქალაქის ხელისუფლებმა ხარჯები დაითვალეს, გადაწყვიტეს, ტბაზე კატერით გასეირნება ეკმარათ. ორლანდოსგან განსხვავებით, პატარა ქალაქი ბოისი, სადაც ოლიმპიური ცეცხლი 25 იანვარს შეჩერდება, სტუმარს 30 ათასი ანთებული სანთლით დაუხვდება.

**გიგა გურასაშვილი**

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ჰოუკი სკეიტბორდოდ



REUTERS

ბევერლი ჰილზში მძიმედ დაავადებულ ბავშვთა სწავლების დასახმარებელი შეხვედრა გაიმართა. სხვა ათას გამოჩენილს შორის ამ შეხვედრაზე იყო ტონი ჰოუკი, ცოლ ერინთან და ვაჟ კიგანთან ერთად. თუ არ იცით, ვინ არის ტონი ჰოუკი, მოგახსენებთ, რომ იგი გახლავთ ბოლო რვა წლის განმავლობაში მსოფლიოს უცვლელი ჩემპიონი სკეიტბორდში და უაღრესად პოპულარული კომპიუტერული თამაშების გმირი.



REUTERS

# ძველებმა გააწვალეს

„კალგარი ფლეიმზის“ მეკარე რომან ტურეკი წლეულს ბრწყინვალე ფორმაშია და ახალ გუნდსაც მშვენივრად შეეწყო. გუშინწინ კი „კალგარი“ ტურეკის ძველ გუნდს, „სენტ ლუის ბლუზს“ ეწვია. სტუმრებმა 3:2 მოიგეს, თუმცა, ყოფილმა თანაგუნდელებმა მაინც აწვალეს ჩეხი მეკარე და ეს ფოტოც იმ წამს აღბეჭდავს, ტურეკი ჯამალ მეიერსის გატანილ შაიბას რომ დასცქერის.



# ოზები ევროპაში

ევროპაში დიდი რაგბის სატესტო სეზონი ხურდება. ავსტრალიის ნაკრები შვიდ მატჩს გამართავს ბებერ კონტინენტზე და მათ შორის შეხვდება ინგლისის, საფრანგეთის, ესპანეთის და უელსის ნაკრებებს. ავსტრალიელები უკვე ლონდონში არიან და ვარჯიშობენ კიდეც. აი, ნათან გრეი აუტიდან მოწოდებული ბურთის დაუფლებაში ვარჯიშობს. მანამდე კი, ავსტრალიელები კარგა ხანს შეუყოვნებიათ ჰითროუს აეროპორტში, ავღანეთში მიმდინარე ომის გამო უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მოქმედებსო. ჯორჯ გრეგანი (მარცხნივ) და ოუენ ფინეგანი სწორედ ჰითროუში აღუბეჭდავთ სურათზე. ინგლისი — ავსტრალია 10 ნოემბერს გაიმართება თვიქნემში.

# იპონი

ილევა ოქტომბერი და ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის თვის საუკეთესო ფოტოსაც გთავაზობთ, ამჯერად მოსკოვიდან, სადაც პრეზიდენტ პუტინის ხელდასხმით მოსკოვის დიდი პრიზი გათამაშდა სავაჭრო ცენტრ „გასტინნი დვორში“. უკრაინელმა რუსლან მაშურენკომ მართლაც მოხდენილი იპონი მოუხერხა კორეელ დონგ სიკ იუნს.





REUTERS


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტო-რეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge